ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ III



1891

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჟ ურ ნ ა ლ «ჯ ე ჯ ი ლ ი»-სა

I. ბაყაყი და მორიელი, ლექსი აკაკისა 3
II. საწყალი ჩხიკვი, საუმწვილო ამბავი, ვაჟა-ფშაველისა . . . 6
III. ოჯახის გამხარებელნი, გადმოკეთებული ლექსი, მდვიმელისა . 12
IV. საალდგომო საჩუქარი, ფრანგულიდამ, ს. თ—სა 15
V. ნიბლიას ანდერძი, ლექსი, ვაჟა-ფშაველისა 24
VI. ღვთის-წყალობა, მოთხრობა, გ. წერეთლისა. 25
VII. ნაკადული, ლექსი პროზად, ეგ. გაბაშვილისა 32
VIII. მეცხვარის ამბავი, ლეგენდა, ს. კობაძისა. 33
IX. მესტვირეს ლექსი 38
X. პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, ილიკოსი
ა) წერილი მეექვსე 40
ბ) წერილი მეშვიდე. 45
XI. ჰაერში მოგზაურობა 50
XII. ჰერაკლი (ჰერაულესი), ალ. ბეგიშვილისა. 54
XIII. ბედის მოჩიენარი, ფრანგულიდამ, ს. თ—სა 60
XIV. ცხვარი და ცხვრის ფარა, ან-ძასისა 62
XV. რა საქმესაც იპერდე, ბოლო იფიქრე! 62
XVI. გაკვრა-გაქცევა, თამაშობა. 64
XVII. წითელი კვერცხი 66
XVIII. ანდაზები, გამოცანები, სამათემათიკო გამოცანა, შარადა და რებუსი 67

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ

რედაქცია უმოარჩიდესად სთხოვს ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ ნახევარ წლის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ კიდევ ინებებენ ჟურნალის მიღებას, დანარჩენი ხვედრი ფული პირველ მკითხველის გამოგზავნონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭეჭილი

საყმაწვილო სურათებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
ი. ჯ.

№ III.

წელიწადი მეორე

ტფილისი
სტამბა ი. ს. მანსვეტოვისა, ლორის-მელიქოვის ქ., სახლი მდივანისა, № 12.
1891.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Апрѣля 1891 года.

Типографія Я. А. Мансветова, Лорисъ-Меликовская ул., д. Мдивани, № 12.

3200

ბაყაყი და მორიელი

ეო და არა იყო რა....
გსასწე ერთად მიმავალი
დაძმობილდენ სიკედილამდე
ბაყაყი და მორიელი.

—

სამოყვრო და სამეგობრო
მათ ერთმანეთს მისცეს ჰირი,
რომ თანასწორად გაიყონ
როგორც ლხინი, ისე ჭირი.

—

მიადგენ ერთს მდინარის ჰირს,
გასავლელი დახვდათ წყალი.
ბაყაყი ხომ მცურავია?!
მაგრამ შეკრთა მორიელი.

—

«ძმა ძმისთვისო—ამ დღისთვისო!»
—დაიყვირა—მეგობარო!
მე ცურვას ვერ მოვასწერსებ
და შენ უნდა მომეხმარო:

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდი ზურგზე შემიჯინე
და მიკისრე მძურათა;
მერე წყალში გადაეშვი
ცურვით შენებურათა!»

—

შეასკუჭდა ზურგზე მშრალად,
მაგრამ ვეღარ მოითმინა;
მოერია გესლი მმობილს,
დაუფრინდა და უკბინა.

—

მოუბრუნდა ბაყაყი და
უთხრა:—«ძმაო, რათა მკბენო?
მორიელმა უპასუხა:
«რა ქნა, რომ მეტს ვერ ვითმენო!

—

მე ისეთი გვარისა ვარ,—
ვფიცავ მზესა ზენასაო,
რომ ვერც მტრისას, ვერც მოყვრისას
ვერ მოვიშლი კბენასაო!»

—

ბაყაყმაც სთქვა: «არ ეოფილხარ
კარგი გვარის, მეგობარო!...
მაგრამ უკეთესი მოდგმის,—
უნდა გითხრა,—არც მე ვარო:

—

თუ მალე თავს არ ვუშველე,
ტოტა დავიგვიანეო
და მორიელის ნაკბენი
უცბად არ გავიბანეო,

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკეთილს ვეფარ გადეურჩები,
დაგიდუბეი საბრალოვო...
და ნურაფერს უკაცრავოდ,
რომ მე ჩემს თავს ვუწამლოვო!

—

სთქვა და დაიურეუმალა,
ცივ წყალს მისცა მორიელი
და ამ გვარად გადიხადა
მომმის სესხი... მისი ვალი.

ბაკაკი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საწყალი ჩხიკვი

I

რთი ჩხიკვი ზამთარმა ძალიან დაჩაგრა, მაგრამ არც ზაფხულმა-კი დაუჯარა ხეირი, და ეს საწყლობა ზამთარშიაც შეჭეფა თან. როგორ? ისე, რომ მეტად მოუსვენარი, მეტისმეტად ეშმაკი რამ იო ეს დიდ-თავა ფრინველი: ზაფხულში, მანამ საზრდო ბლომად იო და ლამაზად შეეძლო გამოკვებილიო, ეშმაკობას მოუნდა, ჩიტებისა და ცხოველების ჯავრებას; დადგა ზამთარი და იმდენს რადას იშოვნიდა, ტანზე ქონი მოეკრა ქონის მოკერას სხვა მიზეზიც უშლიდა.

რა ცხოველს მეტუვით და რა ფრინველს, რომ ის არ გააჯავრებდა: კატას, ძაღლს, ძელას, შველს, ვეავს, შაშს, წიპარანს,—ველას, რა სმისათვისაც-კი ეური მოეწია. ძალიანაც უეგარდა ეს თავის ოსტატობა ჩხიკვსა და თავიც მეტად მოსწონდა ამით.

ერთი ცუდი ზნე სჯირდა ჩხიკვს: მეტად ქურდი, ავაზაკი, სწორედ ეაზაღი იო; მცენარეულს, რაც ტყეში იპოვებოდა, და ჯია-ღუებს არა კადრულობდა, ჭეკნდა დაბრიუვებული წვრიმალი ჩიტები, ჭეარავდა იმათ კვერცხებს, ბღარტებს ბუდიდამ და, როცა გამოძღებოდა გემრიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საჭმელით, გულის და არე-ძარის გასართობად მოჭყვე-ბოდა თავისს ეშმაკობას.

ბევრი გამოუცდელი მონადირე გაწირა ჩვენმა ჩხიკვმა ხახა მშრალი და ჰირდაღებული. შენიშნავდა თუ არა, მო-ნადირე მოდისო, მაშინადვე ან შეელესავით დაისვლებდა, ან ხის ტოტებსე ქურდულად, ოსტატურად დაიწყებდა ფრე-ნას, ფოთლებს აშრიალებდა, ასე რომ მონადირეს ეგონე-ბოდა, ნადირი მორბის ჩემკენო, და თვალ-დაფაციცებით დაიწყებდა აქეთ-იქით ცქერას. ჩხიკვი-კი თავის გულში იცინოდა. როდის-როდის მიჭხვდებოდა საწყალი მონადი-რე, რომ ჩხიკვი ატყუებდა.

ხან-და-ხან ჭნანახავდით, რომ შესკუჭდებოდა საღამოს ხანზე წიფლის ან რცხილის კენწეროზე და თავ-მოწონე-ბული, ვითომ და შაშვი ვარო, მოჭყვებოდა სტვენას; თუმცა კი მალე, თუ სამაენებლო რამ მოეკლინებოდა, თავის ვი-ნაობას გამოაშკარავებდა ხმირ, ზედი-ზედ «ჩხი-ჩხის» ძახილით.

ხან მუხის ბონცეერზე მჯდომარე კისერ-მოდრეკილი, გაიმვერულად თვალების მგვლემით წარმოიდგენდა თავის თავს კრუხად და მოჭყვებოდა კრუკკრუკს; კრუხს წიწილე-ბი აკლდა, იმათაც თავის თავს წარმოიდგენდა და დაუ-წყებდა წიწილების ჯაგრებას...

II

ტყეში ერთი მუხა იდგა. ამ მუხას შუა წელში ერთი ნუკრი ჭქონდა ჯაამსავით მოხვეწილი. ნუკრში რადაც ფრინველი მოჩანდა,—ძეტად მოსაწყლებული, დაღონებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაფიქრებული,—ნახევარი ტანი გატიტვლებული ჰქონდა, ნახევარზეღა ესხა ბუმბული.

მუხას კოდალა ესტუმრა, ააცოცდა ზედ და ნისკარტით დაუწყო სინჯვა,—და აკი ზედ წააწყდა ამ უცხო სულიერს.

— გამარჯვება შენი! ვინა ხარ, აქ რას აკეთებ, კაცო?! ჰკითხა მან უცნობსა.

— გაგიმარჯოს... ჩხიკვი ვარ, მმობილო!—მოისმა ხმა ნუკრიდამ.

— ჰო, ჩხიკვო შენა? მანდ რას აკეთებ ამ თბილსა და ბატიოსან ღელეში?! სტირი კიდეცა? შენ ხომ შენს ეშმაკობას არ მოიშლი!

— არა, მმობას გეფიცები! რა მაგისი მცხელა, მალიან დაკოდილი ვარ, მმაო, დაკოდილი! ვერას მიშველი, წამალი არაფერი იცი?—ისმოდა მწუხარე ხმა ნუკრიდამ.

— ეჰ, გეყოფა მასხრობა, გამოდი, ჯიაზე დაგბატიჟო... ჯია ვიპოვე იმისთანა, რომ სულ ცარიელა ქონია,—უთხრა კვლავ კოდალამ:—გამოდი, ჩაეინადიროთ ესე გორ-გორის ხირებზე. მშვენიერი მზეა. აუარებელი ბუსი და ბეჭელა დაფრინავს.

ბასუსის მაგიერად ჩხიკვის კვნესა მოისმა.

— შენ უთუოდ ადარა ხუმრობ!—სთქვა კოდალამ და მიუახლოვდა ჩხიკვს, შეიხედა იმის საფარში და ნახა,—ოღონდაც ჩხიკვს ცუდი დღე ედგა. - რა ამბავია, ბიჭო, მაგ შენს თავსა, ვინ გაგაფუჭა, ვინ გამოგიმეტა იმ ურჯულომ?

— ნუღარა მკითხავ, სახლი-კაცო, ნუღარ! ცუდი დროება ჩამოვარდა, ძალიან ცუდი, შურისა და მტრობის მეტს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერასა ჭინახავ. აბა მე ვის რას ვუშავებ, ჩემის ოჯოლითა და მარჯვენითა ვსცხოვრობ. შექცევითაც ხომ ეველას მე შევაქცევ, მაგრამ ნამუსი რომ აღარ არის, ნამუსი! ჯერ ამ გაზაფხულზე დამეცა ჩიტისა და შაშვისა დიდი გუნდი, მალინანაც შემაწუხეს, მაგრამ ესე კი ვერ დამჩაგრეს, როგორსაც ეხლა შენი კეთილი თვალი მხედავს...

«უსოფლოდ, ხომ იცი, ჩვენც არაფერი გვისარიან. ბალობის დროს, სოფლის განაბირად რომ ბებრის ბაღჩაა, იქ ბალზე ჩავეჩვიე. დილა ადრიან, მანამ გარიჟრაჟდებოდა და ბებერი გაიღვიძებდა, მე კიდევაც გამოვძღებოდი და გამოვწევდი ხოლმე შინისკენ, ბევრი კაი ლუკმა შევსჭამე, ღმერთმა ააშენოს ბებრის ბაღჩა.

«ერთხელ ჩემი წასვლა რომ გაეგოთ, ჩიტებს ჰირი მიეცათ ერთმანეთისათვის და შეეკრათ ჩემთვის ეზა. დამესხნენ თავსა, ქ�ცდევთისა წინაშე,—უოჩაღად დავუსვდი, შევთათხე და შევუჭიეთ ვაკაცურად. ბევრი ვერცარაფერი დამაკლეს. ძალე დავუსხლტი ხელიდამ: მიეცი ჰირობა, ფიცი დავუდე, აღარაფერი დამეშავებინა არაეისთვის. იმათ მხოლოდ ჯიდა მომაგლიჯეს, რომელიც დღესაც მაკლია და ამის გამო სირცხვილით ჩემს ნათესავებში და მეგობრებში ვეღარ გამოვჩენილვარ; ერთი-ორი მცირე წულული დამატყვეს ტანზე და ცხრა-ათი ბუმბული გამაგდებინეს.

«ვავიდა ერთი თოვე და დღეს კიდევ სხვა მტერი მოგისიეს. მე და მიმინო ბუდამ მეგობრად ვიუავით, ერთმანეთისათვის არასდროს არაფერი დაგვიშავებია, დღეს-კი წასდა ჩვენი მეგობრობა, ღმერთმა ისიც შეარცხვინოს და იმის ვაკაცობაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? იქნება იმანა გცემა, იმან დაგატეო ეგ წელულები?—ჰკითხა კოდალამ.

— იმან, შე მტერ მეგდარო, მაშ სხვამ ვინა? ქრთამით მოუურიათ ჩიტებს ეელამდი. შხამად ამოუვიდეს იმას ეელში ის ორი შაშვი და სამი ქეორნა-ჩიტი.—იმთ გულისთვის მომშალა სიეძეს იმ თავ-მეგდარმა.

«ერთი ჩიტის კვერცხი ვიპოვე და ჩემთვის არხეინად შეგექცეოდი. აკი საიდამდაც გაჩნდა ეცებად, დამეცა ზედა, ჯერ ნისკარტი წამისვა თავში, დამარეტიანა და მერე გამკრა და გამომერა ბრეეალები; შეგეხვეწე,—შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ-მეთქი,—კიდევ იმიტომ შემიბრალა.

«ან-კი რა სასიცოცხლო დაერჩი? რადა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე: ნახეგარი კაცი აღარა ვარ... თუ რასმე მიშველ, მმობილო, დიდს მადლს იზამ, იქნება წამლები რამა გქონდეს შინ შენახული? თავი მაქვს გატეხილი, გვერდებიც ჩალეწილი... ბუმბულის მოსაეანი წამლიც იქნება გქონდეს... აი ცალი ფესითაც ეკოჭლობ.

კოდალა დაღონდა და დაფიქრდა. არაფერი ედონისძიებოდა, მაგრამ გულის გასამაგრებლად უთხრა:—ჩვენ ამ ტეეებში, მმობილო, სამი თეძი ვართ, სამის ჯიშის კოდალეები ვცხოვრობთ; მე, ხომ მხედავ, ჭრელი ვარ, მეორე ჯიშისა—მწვანეა და მესამე—შავი და დიდი კოდალაა, ის არის ჩვენი ჯარა-ექიმი, ეველაფერის წამლობა იმან იცის; ნუ თუ არ გაგიგონია იმისი სმა, რომ გააგმელებს ხოლმე თავის ენასავით, გასწიელებს და გაჭკივლებს, ერთი მთიდამ მესამე მთაზე გაიგონება იმისი სმა. უნდა იმას შეეე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვეწო და გამოვართვა წამლები, იქნება თვითონაც წამო-ვიდეს, ფეხის ქალმანს მე მივსცემ, იმაზედ შენ არ შეგა-წუხებ.

— ძალიან კი საქმეს მიზამ, ეცადე, ძმობას, ეცადე და მეც, თუ ცოცხალი ვარ, არ დავკარგავ შენს სიკეთეს, რო-გორც იქნება გადავისდი, თუ დმერთი შემეწია და ჩემს ჯანზე კიდევ დავდგე,—შესთხოვა ჩხიკვმა.

კოდალამ გასწია. ჩხიკვი მარტოკა დარჩა და დაფიქრდა. მოიგონა თავისი წარსული საქმეები, თუ ვისთვისმე რამ სიავე ექნა, ან რაც ეშმაკობა გაეწია. დაფიქრდა, ღრმად დაფიქრდა და თვალებზე ცრემლი მოადგა...

ვაჟა-ფშაველა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახის გამხარებელნი

აბრუნდნენ სასწაელებლიდამ
ბაეშვები ქიეილ-ხიეილით,
ზოგი თოელს მოაგუნდაებს,
ზოგი გამორბის კიეილით.

* * *

სიკეივისაგან ონავრებს
ასწითლებიათ ყურები...
მოეიდნენ, აელეს სიცილით
აიენის საფეხურები.

* * *

მათ კუდის ქნეეით ბებერი
კარებზედ დახედათ ბროლია,
მიელაქუცა პატარებს,
ტოლიეით მოიქოლია.

* * *

ბალღებმაც მიუალერსეს,
და ძაღლი ლოკდათ ენითა,
შემდეგ-კი კარებს მიმართეს
ქაქანითა და ჭშენითა.

* * *

გამდელმა ცელქებს საჩქაროდ
კარი გაუღო თუ არა,
მოხუცს სახეზედ ალერსის
ღიმილმა გადაუარა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთოოდ ძლიერ მოშიოდათ
ჩემს პაწა ცუგრუმელებსა!
ზოგს პალტოს ართმევს, ზოგს აბგას
და ზოგს უორთქლავს ხელებსა.

* * *

რა გადაჰკოცნეს გადია,
შეეარდნენ კასკას-რბენითა,—
იატაკს გააქვს ზანზარი,
სახლი იესება ლხენითა.

* * *

მისცეიდნენ ტახტზე მწოლარე
ავადმყოფ დედას ცქერტები
და შემოუსხდნენ გარშემო,
როგორც პატარა ვერიტები.

* * *

მამა-კი ცალკე ოთახში
დაღრეჯილ - დაღონებული,
შუბლ-გაუხსნელი, ერთთავად
სწერს რასღაც დაფიქრებული.

* * *

აი დათიკომ ამაყად
დედას უჩვენა რვეული
და ეუბნება სისწრაფით
ღიმილად გადაქცეული:

* * *

— აბა, დედილო, ნახეი,
კარგად გასინჯე ესაო,
მთლად შეუცდომლად დაესწერე
მე ორი გვერდი დღესაო.

* * *

მე-კი დღეს,—უთხრა თამარომ—
სახატავ რვეულზედაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაძვებს და ბუჩქებს ეხატავდი
სხვა-და-სხვა ფერად, დედაო.

* * *

„აქ რასაც ხედავ, უყურებ,
სულ ჩემი ნახატებია,
და მასწავლებელს ამათში
არც ერთი უსწორებია.

* * *

აეადმყოფს სახე ეშლება,
მშობლისა გული ტკბილად სძგერს,
და მათ ტიტინში სნეული
დედა იეიწყებს ყველაფერს.

* * *

აგერა მამაც გამოდის,—
გარს ეხვევიან შვილები...
—ანცებო, ყველამ დღეს კარგად
იცოდით გაკვეთილები?

* * *

რა პასუხს იღებს, ეხვევა,
კოცნით იჯერებს მამაც გულს,
და ეფინტება ნაღველი
სახეზე დაღლილ-დაქანცულს.

* * *

ამათ სიხარულს თითქოს მზეც
ფანჯრიდამ უღიმდებოდა
და ბალღებს ხუჭუჭ ქოჩორზედ
ოქროსფრად ეფინებოდა.

მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღდგომო საჩუქარი

I

ამეტის წლის ყმაწვილ ქალს საავრძელში სთელემდა.

— ვისურვებ შენს დღეგრძელობას და კეთილ-ცხოვრებას, მეფის ასულო! ღმერთმა ბედნიერად გამყოფოს და აღდგომა-დღე მხიარულად გაგითენოს!..

ამ ხმაურობაზედ ყმაწვილმა ქალმა თავლები აახილა და უცბად დაინახა ჩადრ-წამოსხმული მოხუცებული დედა-კაცი, რომელსაც უბრალო კალათით თორმეტიოდე კვერცხი ეჭირა ხელში.

— შენ აქ რა გინდა, დედა-კაცო?—ჰკითხა ცოტა გაწყრომით ხელმწიფის ქალმა.

— მაპატიეთ, მეფის ასულო, რომ შეგაწუხეთ, ხვალ ქრისტეს აღდგომაა და ამ წითელი კვერცხებით გილოცავთ ამ დიდს დღესასწაულს!

— მე განა მაგგვარი მოლოცვა მეკადრება! არ იცი, ვინა ვარ? ეე კვერცხები საიდამაც მოგიტანია, ისევ იქ წაიღე, ან არა და მზარეულს მიეცი სამზარეულოში.

— თქვენი რისხვა არ მქონდეს, მეფის ასულო, რომ მე ეს კვერცხები მზარეულს არ მივუტანო. იმის ხელში ამ კვერცხებს შიგ მხოლოდ კვერცხის გული და ცილა ექნება. თქვენ სულ სხვა ბრძანდებით. თქვენი ხელით გატეხილი კვერცხი სულ სხვა იქნება.

— ვითომ შიგ რა უნდა იყოს?

— ამ კვერცხებში სწორედ იმას იპოვით, რასაც გატეხის დროს ინატრებთ.

— აბა, ერთი ენახოთ, მართალი ხარ თუ არა,—სთქვა გახარებულმა ყმაწვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა მოითმინეთ, მეფის ასულო: — თუ კვერცხს ცუდ-უბრალოდ გასტეხავთ, არაფერი გამოვა. როდესაც-კი დაგჭირდებათ რამე, ან გუნებაში გაიტარებთ რასმე, მაშინ ყველას ამ კვერცხებში იპოვით.

ამ დროს უეცრად ოთახის კარი გაიღო და თორმეტიოდე ყმაწვილი ქალი,—ხელმწიფის ქალის დობილები და მხლებელნი მხიარულად ოთახში შემოვიღნენ.

ყველას ერთნაირად ცისფერი კაბები ეცვათ და ოთახიც მშვენიერად ცისფრად მორთული იყო. ამათ მოსდევდათ უფროსი, ერთი წამოსადეგი ქალი, რომელიც ხელმწიფისაგან თავის შვილის აღმზრდელად იყო დაყენებული.

— ძილის დრო გახლავთ, მეფის ასულო,—უთხრა გადიამ და მიუახლოვდა საავარძელს.

ყმაწვილმა ქალმა თვალები აახილა და დაიწყო აქეთ - იქით ცქერა.

— სად არის დედა-კაცი! სად წავიდა ის დედა-კაცი?—წამოიძახა ხელმწიფის ასულმა.

— ვინ დედაკაცი?—დაეკითხა გადია.

— აი ეხლა აქ რომ იყო, ჩადრ-წამოსხმული, მოხუცებული, ეს კვერცხები რომ მომიტანა,— და უჩვენა კალთაში რომ კალათა ედო.

— მოწყალებისთვის შემოიპარებოდა ვინმე,—სთქვა გადიამ,— რა დაუდეგრები არიან კარის მცველნი, რომ მთხოვარა აქ შემოუშვიათ,—მერე მიუბრუნდა მოახლეს და უთხრა:

— წაიღეთ ეს კვერცხები სამზარეულოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამ კერცხებს ხელი არ ახლოთ,—შეჰკივლა ხელმწიფის ქალმა – წადით, მონახეთ, რა იქნა ის საწყალი დედაკაცი! უთუოდ გულთმისანი იქნებოდა.

— სიზმარში თუ ნახეთ, მეფის ასულო, თორემ აქ გულთმისნებს რა უნდოდათ!—უთხრა გადიამ.

— გულთმისანია თუ რაც არის, ის დედაკაცი აქ უნდა მომგეაროთ!—სთქვა დაჟინებით ხელმწიფის ქალმა.

გადიამ წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ორი ქალი გაგზავნა დედაკაცის მოსაძებნად. დიდხანს არ გაუელია, რომ ორივენი ისევ უკან დაბრუნდენ და სთქვეს:

— დედაკაცი ვერ ვიპოვეთ და არც არაფის უნახავს, დარაჯებიც ფიცულობენ, რომ სასახლეში არაფინ შემოგვიშვიაო.

ძილის დრო იყო. მხლებლებმა ხელმწიფის ქალს ტანთ გახადეს, ქვეშაგებში ჩაწვინეს, ტკბილის ხმით ნანა დუმღერეს და, როდესაც ყმაწვილს ქალს ჩაეძინა, ფეხ-აკრეფით გავიდნენ.

მეორე დღეს, გაიღვიძა თუ არა, ხელმწიფის ქალმა მონახა თავისი წითელი კვერცხები და უნდოდა გამოეცადნა იმათი ძალა, მაგრამ სასახლეში ისეთი წესი და რიგი სუფევდა, ისე ყველაფერი თავის რიგზედ მოწყობილი იყო, რომ არაფრის ნატერა არ მოუნდა.

II

აღდგომა ამ წელს გვიან დადგა; დარი მშვენიერი იყო და ხელმწიფის ქალმა მოინდომა სასახლის მოშორებით ტყეში გასეირნება. მხლებელნი და მსახურნი დიდი სამზადისით წინ წავიდნენ.

დანიშნულ დროზედ ხელმწიფის ქალი თავისი ამალით ჩაბძანდა ტახტრევანში. წითელ კვერცხებს არ იშორებდა, რადგან შესაძლო იყო, გზაში უფრო დასჭირებოდა. თითო-თითო კვერცხი დაურიგა თავის მხლებელ დობილებსაც.

მხიარულობა და დროს გატარება დიდი ჰქონდათ, რადგან ხელმწიფის ქალი იშვიათად იყო ასე კაი გუნებაზედ. თან-და-თან შუაგულ ტყეში შეეიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს დააპირეს შინ დაბრუნება, მაგრამ უეცრად ცას გადაეფინა შავი ღრუბელი, გაიელვა, ატყდა ჭექა-ქუხილი. მაშინვე ყველამ დიდრონ ხეებ ქვეშ შეაფარა თავი. გადია-კი წავიდა მოსამსახურეების და ტახტრევანის საძებნელად. საით მხარესაც ეგულებოდა, იქ არაევინ დაუხვდა, ტყის სხვა მხარეებიც დაათვალიერა, ბევრიც უძახა, იყვირა, მაგრამ ვერა გააწყო-რა.

ხელმწიფის ქალი მოუთმენელის ხასიათისა იყო და გაჯავრებული ცეცხლსა ჰყრიდა.

მერე ერთბაშად წამოიძახა:

— მომეცით, ვისა გაქვთ კვერცხი!

ყველამ საჩქაროდ კვერცხები მიართვეს.

— მე იმას ვინატრებ, რომ ამ კვერცხიდამ ოქროს ტახტრევანი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი, ამოვიდეს,—სთქვა ხელმწიფის ქალმა და დააპირა გულის კანკალით კვერცხის გატეხა.

მხლებელნი მოწიწებით შესცქეროდნენ, თითონ გადიაც მათზე ნაკლებად არ მოელოდა სასწაულს.

ხელმწიფის ქალმა ქვას დაჰკრა ჯერ ერთი კვერცხი... მაგრამ დახეთ! რას მოელოდა და რა ნახა:

ჯერ ერთი წვიმის ქოლგა გამოჩნდა, მერე მეორე, მერე მესამე და სწორედ იმდენი ქოლგა ამოვიდა კვერცხიდამ, რამდენი სული ადამიანიც იყო. მერე გამოჩნდა იმდენი და ისეთი ფეხსაცმელი და წმოსასხმელი, რომ ვერც ერთმი წვიმა ვერ გაატანდა.

ეს აუცილებლად საჭირო ნივთები კვერცხებიდამ ისეთი სიჩქარით ხტებოდენ, რომ ქალები ძლიეს ასწრობდნენ აკრეფას. ამაზედ აუტყდათ საშინელი კასკასი.

მხოლოდ ხელმწიფის ქალს სულაც არ ეცინებოდა.

— ამ საძაგელ ფეხ-საცმელში ფეხს როგორ ჩაედგამ! ქოლგის დაჭერით ხომ ხელი დამეფალება!... ან ამ ბრანძს როგორ დავიხურავ!—გულამომჯდარი ამბობდა ხელმწიფის ქალი,—მე სულაც ესენი არ მინატრია, მე ტახტრევანი მინდოდა...

— მართალია, ტახტრევანი უფრო სამჯობი იქნებოდა თქვენთვის,—უთხრა გადიამ,—მაგრამ თქვენი გულთმისანი ხომ უთუოდ სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდიდრეს არ დაგპირდათ, იმას იძლევა საჩუქრად, რაც უფრო საჭიროა. ამ ქოლგით, ფეხსაცმელით და წამოსასხამით რაც უნდა აედარი იყოს, ყველგან წაგესელებათ.

გადიამ მაშინვე მაგალითი უჩვენა,—ფეხსაცმელი ჩაიცვა, წამოსასხამი წამოიხურა და ქოლგა გახსნა. ყველამ მიჰბაძეს და სიცილით მოირთ-მოიკმაზნენ; ბოლოს ხელმწიფის ქალმაც, როდესაც კარგა გაიწუწა, იკადრა ჩაცმა, თან-კი საშინლად ჯაერობდა, როგორ თუ გულთმისანმა ამისთანა აედარში სხვებსაეთ მეც ფეხით გამატარო.

გაუდგნენ გზას. ხელმწიფის ქალი გაბუზღული მიდიოდა. და უთუოდ შინამდის ასე ცუდ გუნებაზედ მიეიდოდა, თუ რომ ერთი დობილი ტლაპოში არ ჩაფლულიყო. ამაზედ ხელმწიფის ქალს საშინელი სიცილი აუტყდა და ასე მხიარულ გუნებით მიეიდა სასახლემდის.

მოსამსახურენი ჯერ არსად იყვნენ და არც ტახტრევანი ჩანდა, ესენი რომ შინ დაბრუნდნენ, მაგრამ ხელმწიფის ქალს დრო არ დასცალდა გამოძიებაში შესულიყო, იმ ღამეს სასახლეში დიდს მეჯლისს ხდილობდნენ.

ყმაწვილი ქალი საჩქაროდ აეიდა თავის ოთახში ტანთ-ჩასაცმელად. ამ წვეულობისთვის საგანგებო კაბას უმზადებდნენ ოქრო-მკედით მოქსოვილს, რომელზედაც მარგალიტით ნაკერი ტული გადაფარებული უნდა ყოფილიყო. ჯინჯილი და სარტყელი სულ ძვირფასის თვლებისა იქნებოდა.

ამისთანა კაბა შესაფერი არ იყო ყმაწვილი ქალისთვის, მაგრამ ხელმწიფის ქალს ძვირფასი ტანისამოსი უყვარდა და მოსწონდა.

— სად არის ჩემი კაბა?—შესძახა ხელმწიფის ქალმა თავის ტანთ-ჩამცმელ მოახლეს.

— მკერვალმა ეს არის ეხლა მოიტანა, მეფის ასულო,—მოახსენა მოახლემ—აი, აქ გახლავს...

ის იყო მოახლემ ხელი მიუთითა საჩვენებლად, რადგან ამ ერთი წუთის წინედ თავის ხელით კაბა ქვეშაგებზედ გაშალა, მაგრამ კაბა სადღაც გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის ჩემი კაბა? მომეცით ჩემი კაბა!—იძახოდა ხელმწიფის ქალი.

— მე რომ მეორე ოთახში გიმზადებდით თეთრ ატლასის ფეხთსაცმელებს, უთუოდ ქურდი მაშინ შემოიპარებოდა,—სთქვა კრძალვით მოახლემ.

— მონახეთ ჩემი კაბა! მომიტანეთ ეხლავე ჩემი კაბა!—გაიძახოდა გაჯავრებული ხელმწიფის ქალი და ფეხებს უტყაპუნებდა.

მოახლე გავარდა გარედ ქურდის მოსაძებნელად. გადიამ და მხლებლებმა გადაატრიალეს მთელი სასახლე და ვერას ვახდნენ.

ხელმწიფის ქალს თავი ვერ შეეკავებინა, სიანჩხლით რაც-კი ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს ამტვრევდა. აღარ დააყენა აღარც შანდლები, აღარც ბროლის ჭურჭელი, და სხვა წვრილმანი. გატეხილ ნივთების ჭახა-ჭუხის ხმა სად არ ისმოდა.

— სხვა კაბა ჩაიცვით, კაბები ხომ, ღვთის მოწყალებით, ბლომად გაქვთ,—უთხრა მოწიწებით გადიამ.

— უნდა გაგიტყდეთ, ვერ დავმალავ,— სთქვა ნაღვლიანად მოახლემ,— რომ იმ ახალ კაბასთან სხვა კაბებიც ერთიანად წაუღიათ.

— მაშ წვეულობაზე ვეღარ დავესწრები, ამაღამ ლხინს უნდა მოვცდე! — შესძახა გაჯავრებით და თან ნაღვლიანად ხელმწიფის ქალმა.

— მაშ ჩვენც მოვცდებით ლხინს,—სთქვა ბუტბუტით ხელმწიფის ქალის ამალამ.

თუ-კი ხელმწიფის ქალი არ დაესწრებოდა წვეულობას, მაშინ ესენიც უნდა დარჩენილიყვნენ. ამათ ყველას ამაღამისთვის კაბები დაეკერათ, მართალია ისე ძვირფასი არა, როგორც ხელმწიფის ქალს, მაგრამ არც ბევრით ჩამორჩებოდა იმას.

— წითელი კვერცხი გატეხეთ, ხელმწიფის ქალო,—უთხრა გაბედვით ერთმა დობილმა, რომელიც უფრო საყვარელი იყო ხელმწიფის ქალისა.

— კვერცხი გაეტეხო!! მერე რა გამოვა? შიგ ან ქოლგა იქნება, ან ფეხსაცმელები,—სთქვა მწარე ღიმილით ხელმწიფის ქალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სცადეთ!—განაგრძო დობილმა.

ხელმწიფის ქალს მეტი რაღა ღონე დარჩენოდა, აიღო ხელში კეერცხი და გასტეხა.

მხლებელმა ქალებმა ერთ-ხმად შეჰკივლეს, როდესაც მშვენიერად შეკერილი კაბა დაინახეს. თეთრი, წმინდად მოქსოვილ აბრეშუმის კაბა იყო, ცისფერი ატლასის სარტყლით და ცისფერივე ყვავილების გვირგვინით. ეს ტანისამოსი ნამდვილი შესაფერი იყო ყმაწვილი ქალისთვის.

ხელმწიფის ქალს არაფრად მოსდიოდა თვალში, რომ იმის მხლებელნი ქალნი უფრო ძვირფასი ტანისამოსით დაესწრებოდენ წვეულობას, მაგრამ რას გააწყობდა—ან უნდა ეს ტანისამოსი ჩაეცვა, და ან ქვეშაგებში ჩაწოლილიყო დასაძინებლად. არჩია ამ ტანისამოსის ჩაცმა.

ხელმწიფის ქალი რომ ნახეს სადა კაბით, მაგრამ ლაზათიანად და გემოვნებით ჩაცმული, ყველა აღტაცებაში მოვიდა. თითონაც ძალიან მოილხინა, გათენებამდის დაუსვენებლივ ცეკვავდა და მხიარულობდა.

მაშინ-კი დარწმუნდა, რომ ძვირფასი ტანისამოსი კაცს სიამოვნებას არ მოუმატებს და არც მოალხენს.

III

მეორე დღეს შუა დღე იყო, როდესაც ხელმწიფის ქალს გამოელვიძა. მოართვეს ყავა, მაგრამ უგემურად ეჩვენა, არ მიირთვა. ჯერ ერთი ნატეხი შაქარი მოუმატა, მერე მეორე და მესამე, მაგრამ ძლიეს-ძლიობით ნახევარი ფინჯანი მოსვა. რასაკვირველია, ამის შემდეგ მალე მოშიოდა, მოითხოვა საუზმე. სხვა-და-სხვა ძვირფასი საჭმელები მოართვეს. არც ესენი მოიწონა და ისევ ისე მშიერი დარჩა.

— მზარეული რიგიან საჭმლებს აღარას აკეთებს, უნდა მამაჩემს ეუთხრა, დაითხოვოს ეს კაცი.

— უქეიფოდ ხომ არა ბრძანდებით? — ჰკითხა გადიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულაც არა. მე უქეიფოდ არა ვარ, მაგრამ თუ არას მაჭმევთ, უთუოდ ავად გავხდები.

— იქნება კვერცხმა რამე გიშველოთ,—უთხრა თავისმა საყვარელმა დობილმა ქალმა.

— მართლა! — წამოიძახა მხიარულად ხელმწიფის ქალმა,—აქამდის როგორ არ მომაგონდა! თუმცა...

— ვინ იცის რა შაქალამები იყოს შიგ,—სთქვა ერთმა მხლებელმა.

ყველა სხვა-და-სხვა რამეებს ნატრულობდა, ზოგმა ინატრა კუპატები, ზოგმა ჯეირნის სამწვადები.

კვერცხი გასტეხეს, მაგრამ შიგ ვერც კუპატი, ვერც შაქალამა და ვერც ჯეირნის ხორცი ვერა ნახეს. კვერცხიდამ ამოიღეს თხლად მოჭრილი შავი პურის ნაჭერი, ზედ მოთალიეთ რბილი ყველის ნაჭერი იდო.

— ეს რა უნდა იყოს! —ჰკითხავდა მაყურებლებს ხელმწიფის ქალი, რომელსაც თავის დღეში არ ენახა არც შავი პური და არც ამ ნაირი ყველი.

ჯერ ერთი ლუკმაც არ შეეჭამა რომ წამოიძახა:

— რა გემრიელია! ეს საჭმელი კაი დროს მომესწრო. განა ჩვენი მზარეული როდისმე ამისთანა გემრიელ საჭმელს გააკეთებდა?! სწორედ საუცხოო რამ ყოფილა!

ხელმწიფის ქალმა ეს ყველი და პური ყველა თავის მხლებლებსაც მიუთავაზა და თითონაც ბლომად დაინარჩუნა.

— საუცხოო პურია და მშვენიერი ნაღები! ჩემ დღეში ამისთანა გემრიელი არა მიჭამია-რა,—ამბობდა ხელმწიფის ქალი და თან შეექცეოდა.

— არც პურია მაგისთანა საუცხოო და არც მშვენიერი ნაღებია ეგ ყველი,—უხთრა გადიამ,—თქვენ იმდენ ტკბილეულობას მიირთმევთ, რომ მადა სრულებით დაჰკარგეთ და, რადგან ძვირფასი საჭმელები მოგბეზრდათ, ეს უბრალო ყველი და პური გიამებათ და მოგწონთ.

ხელმწიფის ქალმა აღარა თქვა-რა, დაითხოვა თავისი ამალა და ჩაფიქრდა. უეცრად ასე ჩაფიქრებული მიეიდა ფანჯარასთან და თვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შეასწრო ერთს ძონძებში გახვეულს პატარა ქალს სწორედ თავის ხნისას. პატარა ქალმა აიხედა სასახლისაკენ, ხელმწიფის ქალს თვალი თვალში გაუყარა ერთ წამს და ისევ სწრაფად გაქრა.

ხელმწიფის ქალს რაღაც მოაგონდა, აღშფოთდა... თვალ წინ წარმოუდგა ობოლი და უპატრონო ქალი, ალიზარა, თავისი მხლებელი და დობილი, რომელსაც რაღაც უბრალო საქმეზე გაუწყრა და უწყალოდ გააგდებინა სასახლიდამ.

დანაღვლიანებული ყმაწვილი ქალი მაშინვე მოშორდა ფანჯარას, მოახლეებს დაუძახა და უბრძანა:

— ამ წამსვე ალიზარა მიპოვეთ და მოშვარეთო!

ორი დღე და ღამე დაეძებდნენ, მთელი ქალაქი ფეხზედ დააყენეს და ალიზარა ვერ იპოვეს.

ობლის ბებიას შეეტყო, რომ სასახლიდამ კაცები დაეძებენ იმის ალიზარას, და საბრალო ბაშვი სკივრში ჩაეკეტა. ჰგონებოდა, სახეიროდ არ დაეძებენო.

დიდხანს ნაღვლობდა ხელმწიფის ქალი, რომ ალიზარა ვერ უპოვეს, უნდოდა თავისი წყალობა მოეღო და ყმაწვილი ისევ თავისთან აეყვანა. ბოლოს თითონვე მოიგონა თავისი წითელი კვერცხები, არავის უთხრა თავისი გულის-წადილი და ერთბელ, როდესაც მარტოდ დარჩა, ინატრა ალიზარას პოვნა, კვერცხი გატეხა და იქიდამ უეცრად ამოვიდა ტიტველ-შიშველი ალიზარა, რომელსაც შიმშილით ადამიანის ფერი აღარ ედო.

ხელმწიფის ქალი თვალ-ცრემლიანი გადაეხვია და სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა, რომ დობილი და ტოლ-ამხანაგი დაიბრუნა. საწყალ ბაშვს ამ ბოლოს დროს ბებიაც მოჰკედომოდა და სულ უნუგეშოდ დარჩენილიყო.

ხელმწიფის ქალს გულთმისნის წითელი კვერცხები აღარც ჰქონდა და აღარც საჭირო იყო: ეხლა ისეც გაიგო, რა იყო კარგი და სანატრელი.

ს. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიბლიას ანდერძი

არი უბერავს, მოაქვს ნამქერი,—
ჩიტი ნიბლია ატირდა მთაზე.
— სულ ბუდამ ლალი ტ მხიარულო,
ჩიტო ნიბლიავ, ცრემლს აფრ-
ქვევ რაზე?
— უსახლ-კარო ვარ, განა არ
იცი,
ეინვამ მომასწრო, მმობილო, გზაზე.
დამკრა სიცივემ, გული დამილბო
და მიმიეინა ფრთებიცა ტანზე.
ფრენა არ მალ-ძიძს, ვედარც დავდივარ,
ზედ მიმეყინა ფეხები ქვაზე.
წადი, უთხარი ჩემსა ობლებსა
და გადასმასე მადლიდამ თავზე:
— აქ გამითხარონ ციცი სამარე,
აქვე დამმარხონ ამ მადალს მთაზე;
ნაზის იისა კუბო შემიკრან,
გულს დამაყარონ ტურფა კესანე*);
არ დაივწყო, თუ გწამს უფალი,
არ დაივწყო, შენი კვნესა მე!

ვაჟა-ფშაველა

*) ყვავილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ვ თ ი ს - წ ყ ა ლ ო ბ ა

(მოთხრობა)



I

ყო ერთი კეთილმორწმუნე ცოლ-ქმარი. ცხოერობდნენ ღარიბად, მაგრამ პატიოსნად. მამაკაცი გარედ მუშაობდა, დედა-კაცი შინ ოჯახობდა: ზრდიდა ქათამს, ბატს, იხეს და ინდოურს. ჰყაედა ერთი დედა ღორი, რომელიც წელიწადში თორმეტს გოჯს უზრდიდა, ერთი ძროხა, რომელიც ყოველ წლობით თითო მოზვეერს აძლეედა; აშენებდა იმდენს ცხვარს, რომ მისგან მოცემული მატყლი ქმრის ჩოხა-შალვრად ჰყოფნიდა. იწეედა იმდენს კანაფსა, სელსა და ბამბას, რომ კაბა-საცვალ-ახალუხად ჰყოფნიდათ.

ცოლ-ქმარს ედგათ ერთი ფიცრული სახლი და შუაგულს ალაგს კერა იყო გაჩაღებული. სახლს შიგნით ცალ-მხრით ფიცრის გრძელი ტახტი იყო გამართული თახჩა-სალარათი და განჯინით მოწყობილი, მეორე მხრით იდგა საქსოე-საფეიქრო, საჩეჩელი, ბამბის გასარჩეევი ჩიხრიხი და ლარ-კინთი; იქეე ეწყო თითისტარ-კეირისტაეები.

გარედ, სახლს გეერდით იდგა პაწია ფიცრული საღორე, სადაც ღორს გოჯებიანა ამწყედეედენ. ეს ღორი მეტად სასარგებლო რამ იყო ცოლ-ქმარისათეის, რადგან თეეში თითო ბურეაკს აძლეედა საკლავად. სახლს გარშემო ორ არშინ სიმაღლეზე წნული საბუდრები იყო კოტებზე მიკრული, რომ ქათმებს შიგ კეერცხები ედვათ. ამ საბუდრებს ეერც ძაღლი შესწვდებოდა, ეერც მელა შეეპარებოდა, ეერც ეირთაგვა შეაკოცდებოდა კეერცხების შესაჭმელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-კაცი დილიდგან დაწყებული მუდამ დღე სახლ-კარის სუფთაობაში, ფრინველისა და ოთხ-ფეხის მოვლაში იყო გართული. როცა იმათ მოვლას გაათავებდა, შემდეგ სადილს გააკეთებდა. დედა-კაცს ჰქონდა ერთი ზურგსაკიდი თხის გუდა, რომელშიაც მისი ხელით დამცხვარს პურებს ან მჭადებს ჩაწყობდა, ჩასდკამდა შიგ ერთს პაწია ქოთანს შეჭამადითა, ზედ მოალაგებდა ბოსტანში დაკრეფილს მწვანილს: ბოლოკს, ხახეს, პრასას და ოხრახუშს, ხელში დიიჭერდა ერთს პაწია დოქს, ღვინით სავსესა, იქვე კაკლის ძირში ჩაფლულ ქვევრიდან ამოღებულსა, ჩაჰკეტდა სახლს ურღულით და წავიდოდა ქმართან ყანაში (მინდორში).

ამ დროს მამა-კაციც შესწყვეტდა მეშაობას. მისი საათი მზე და ჩერო იყო, რომლებზედაც იგი ატყობდა სადილობის შემოსვლას. გამოუშვებდა უღლიდან ხარებს და გარეკდა საბალახოდ, თვითონ-კი წავიდოდა ლორთქო ნოშოიანის ტოტების დასატეხად, წამოიღებდა და დაიფენდა დაჩრდილულს ხეს ქვეშ სუფრად. მერე წავიდოდა წყაროზე. დოქით წყლის მოსატანად. აავსებდა თუ არა დოქს ცივი წყლით, იმავ წამს დაინახავდა თავის დედა-კაცს, რომელიც ზურგზე გუდა-მოკიდებული და ხელ-დოქიანი ხნულს კელებში მოისწრაფოდა თავის ქმართან.

— აი ჩემი დედა-კაცი,—სიამოვნებით წამოიძახებდა ქმარი და გაეშურებოდა ხისაკენ, რომ სავსე გუდა ჩამოერთმია.

— თუმცა შენც მაღლიანად გიმუშავნია დღეს, მაგრამ არც მე დამიკლია ხელი, რომ გემრიელი სადილი მომემზადებინა შენთვის. აი ამ ღვინოსაც ახლავე ჩავაცივებ წყაროში,—ალერსიანად უპასუხებდა ცოლი ქმარს.

— ღმერთმან აკურთხოს შენი გამჩენიო, – მიუგებდა ქმარი.

სანამ დედა-კაცი წყაროში ღვინოს ჩააცივებდა, მანამდის ქმარიც მოასწრობდა გუდიდან სადილის ამოლაგებას და ნეშოებზე*) გაწყობას. მერე ორნივე, შრომის გამო მოშიებულნი, დასხდებოდენ გაშლილს ეელზე, გრილს ჰაერში ხეს ქვეშა და სადილს მადიანად შეექცეოდნენ.

*) ნეშო—ხის ანალ შტოებს და ფოთლებს ჰქვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილს უკან დედა-კაცი ცარიელს ჯამ-ჭურჭელს ისევ გუდაში ჩაალაგებდა, გამოეთხოვებოდა ტკბილად თავის ქმარს და გაეშურებოდა შინისკენ, რომ ოჯახში კელავ ჯარასავით დატრიალებულიყო. საღამო ჟამს ბატებს და იხვებს დიდ მოწნულს ძარებში დაამწყვდევდა; ქათმები და ინდოურები გარეთ ხეებზე დაიბუდებდენ, ღორს თავის გოჯებიანათ საღორეში შეყრდა, კრუხებს საკენკს მისცემდა, ცხვრებს საცხვრებოში შერეკდა, ძროხას მოწველიდა და საჩეხში შეაგდებდა, ხბოს ფიცრულში დაბამდა, რძეს საკიდელს უზამდა და თბილს კერაში ჩადგამდა ყველის ამოსაყვანად. ბოლოს ეახშმის მზადებასაც შეუდგებოდა. მამა-კაცი-კი თავის მხრით სადილს უკან ხარებს ისევ უღელში შეაბამდა და განაგრძობდა საღამომდის ბარაქიანს მუშაობასა.

იყო იმავ კუთხეში ერთი ამ სოფლის დიდებულთაგანი, რომელსაც ერქვა სახელად „მიწა-ჩემია". მართლაც რომ მთელი იმ კუთხის მიწა-წყალი ამ კაცს ეკუთვნოდა. ლარიბს ცოლ-ქმარს იმისგან ჰქონდა იჯარით აღებული ოცდა ათი დღიური ადგილ-მამული; ზოგი საყანეთ ეჭირა, ზოგი საეენახეთ, ზოგი საბალახეთ და დანარჩენი ტყეთ.

მამა-კაცმა იცოდა ეენახის კარგი კეთება, ყანის მუშაობა, შეშის ჭრა და ფიცრების თლა. გაზაფხულის დამდეგს ეენახს სხლაედა, ბარავდა, ნაკელს აყრიდა, სარებს არჭობდა და ზედ ეაზებს აკრაედა. შუა გაზაფხულში საყანეებს ხნავდა, თესდა და მარგლაედა. შემოდგომის დამდეგს ჭირნახულს იწევდა. ღვინობისთვეში სთველი ჰქონდა და მაჭარს აყენებდა. ჭირნახულის შემოტანას რომ გაათავებდა, მერე წაეიდოდა ზამთრის პირზე ხარ-ურმით ტყეში, ცულსა და ნაჯახს თან წაიღებდა და მთელის ზამთრის სამყოფს შეშას ქრისტეშობისთვემდის დაიმზადებდა და ხორა-ხორათ დადგამდა ეზოში.

რაკი თოელი მოვიდოდა, ცოლ-ქმარი შემოუსხდებოდა ღუზ-ღუზა ცეცხლს კერის პირად და იყენენ ტკბილ საუბარში გართულნი მომაეალის წლის თაედარიგზე. საქონელი გომში ჰყავდათ კარგად მოვლილი. ლუკმა პური საზრუნველად აღარ ჰქონდათ, რადგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველიე შინ იყო დამზადებული, წლის სარჩოთი ჰქონდათ ბეღელი და სასიმინდე გამოტენილი. წარსულის წლის დაუღლავს მუშაობას მათთვის კარგი ნაყოფი მოეტანა. ახლა ნებიერობდენ და სიტკბოებით ატარებდენ თავიანთს წუთის-სოფელს. მაგრამ, რადგან შრომას იყვენ მიჩვეულნი, მთელს თავისუფალს დროს მაინც არ ანდომებდენ მხოლოდ მოსვენებას და სიყვარულსა. დედა-კაცი ართავდა ღუზლისა და ბამბის ძაფებსა, ამზადებდა სამოსლების საქსოვად მასალას; მამა-კაცი-კი სთლიდა ახალ თბითსტრებს, ტარებს უცვლიდა ჩიხრიხსა, კბილებს უსწორებდა საჩეჩელსა, ხან კალათებს წნავდა, ხან ჩიხრიხით ბამბას კურკებს აცლიდა. ასე ამ გვარად გამრჯელი ცოლი და ქმარი არც ზამთარში იყვენენ ცუდათ.

ცხოვრობდენ თბილ სახლში ერთად, ეხმარებოდენ მუშაობაში ერთმანეთს, ხან შალებისა და სამოსლის ქსოვაში იყვენ და ხან მასალის მზადებაში; დედა-კაცი გაზაფხულამდის ქმრის დახმარებით იმდენს შალებს და სამოსლებს მოქსოვდა, რომ ორთავე ჰყოფნოდათ იმ წელს ტანისამოსად. ისინი სულ ახლებში გამოკენკლულნი შეეგებებოდენ ქრისტეს აღდგომას, თითქოს ეს დღესასწაული მათი განახლების მომასწავებელი ყოფილიყოს. მოყვრებსა და მეზობლებსაც პირნათლად შეეყრებოდენ, ერთმანეთს სიყვარულით მოიკითხავდენ, ჰქონდათ ერთი პატიჟობა, ლხინი და თამაში. ისინი ყოელის ფრით გულსრულნი იყვენენ, მხოლოდ შეილი არ ჰყავდათ, მაგრამ სასოებას მაინც არ ჰკარგავდენ და ყოველ დილით ზეცას შეჰღაღადებდენ: „ღმერთო, ნუ წაახდენ ჩვენს შრომას, მოგვეც მოხუცებულობაში მომელელი და ჩვენის შრომის ნაყოფის გამდიდებელიო!“

II

მოხედა ღმერთმა სათნო ცოლ-ქმარს და კიდევ უფრო გაახარა მათი გული. გაუჩნდათ ვაჟი, რომელსაც დაარქვეს «ღვთის-წყალობა». ვაჟი საკვირველი სანახავი იყო: ერთის დღის ერთის თვისას ჰგავდა, ერთის თვის—ერთის წლისასა. ტირილი არ იცოდა და იყო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითო ტან-მთელი. დედა ასე ფიქრობდა: „ღვთის-წყალობა“ მუშა-კაცის შვილიაო, მას სათუთობა არ შეჰფერისო. იგი დაბადებიდგან უნდა შეეჩვიოს გაჭირვებას, სიცივეს და შიმშილ-წყურვილსაო.“

ამის გამო ყმაწვილს თბილ წყალს არ აკარებდენ და მუდამ წყაროში აბანავებდენ; აცმევდენ მხოლოდ პერანგს, სხვას არაფერსა. ბაშვი ზამთარ-ზაფხულობით ფეხშიშველა დარბოდა. მას არ ეშინოდა არც თოვლისა, არც ყინვისა, არც გოროხებზე სიარულისა. მისი დედ-მამა სიკვდილს არ უფრთხოდა, რადგან ღმერთზე ჰქონდა დიდი სასოება. „თუ მას ნებავს, გაიზრდებაო, თუ არა და მისი მოცემულია, მანვე წაიყვანოსო.“

ამ გვარი მოვლით ყმაწვილი შეიქმნა მაგარის აგებულებისა და ძალიან გონებიანი. ჯერ კიდევ ორის წლისა არ იყო, რომ იმან მიაქცია ყურადღება თავის დედ-მამის მოქმედებასა. დაიწყო თამაშობა. ხან პატარა ძაფებს გაბამდა ჯოხებზე, თითქოს საფეიქრო გაემართოს და ზედ ქსოვას აპირებსო. ხან კენჭებს მოაგროვებდა. ზოგი მოზდილი კენჭები, მისი აზრით, ქათმებათ გაეხადნა, მომცრო კი კეერცხებათ, ან წიწილებათ და ისე. უელიდა, როგორც დედა მისი წიწილებიანს კრუხებსა. ხან მოზელდა მიწას და გამოიყვანდა ხარების სახეებათ, მერე ჯოხს სახვნელის მსგავსად მოკაკვავდა, ეითომც ხარებს გუთანში აბამდა და უძახოდა: „ი'შ, ხარო, ი'შ, ი'შ!“ ისე როგორც მამა მისს ჩვეულება ჰქონდა ხვნის დროსა. ხან მიწას ცხერებათ გადააკეთებდა და მოსდგებოდა მათ პარსვას, ეითომც მატყლს ეაგროვებო, ისე როგორც დედა მისი შერებოდა. ხან პაწია ბორბალს გააკეთებდა და ღელის წყალს მიუდგამდა ასაბრუნებლად, თითქოს წისქვილი გაეკეთებინოს.

დედ-მამა რომ ხედავდა შვილის თამაშობას, გულში ამბობდა: „ეს კარგი მოხელე უნდა გამოვიდესო“. როცა ღვთის-წყალობა შვიდის წლისა შეიქმნა, დედ-მამამ გადასწყვიტა, სოფლის მღებარს მიეგებაროთო, ღებვასაც ისწავლის და წერა-კითხვასაცაო. სოფლის მღებარს სხვა მუშა კაცების შვილებიც ებარენ. მათ, ხელობას გარდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამადლოთ წერა-კითხვასაც ასწავლიდა. „ღვთის-წყალობამ“ მალე შეისწავლა იქ ლებვაცა და წერა-კითხვაც. როცა ლებვას მორჩებოდა და მღებარიც შინ არ იყო ხოლმე, შეიპარებოდა მღებრის ოთახში, საცა მას წიგნებით განჯინა ჰქონდა, და მოჰყვებოდა სხვა-და-სხვა წიგნების კითხვას.

III

მღებრის განჯინაში ღვთის-წყალობამ მონახა ერთი წიგნი, რომელშიაც ეწერა ოქროს ქვეყნის ამბავი. ეს წიგნი იმას ძალიან მოეწონა. აი რა ეწერა შიგ: ზღვას გადმა იყო ერთი ქვეყანა, საცა ცხოვრობდა მრავლისაგან უმრავლესი ერი, რომელსაც თვით ეს ოქროს ქვეყანა ეკუთვნოდა. იქ ყოველს კაცს თავის სარჩო-საბადებელი უზრუნველად მოსდიოდა. ყველანი ისეთი მცოდნენი და მუშაკები იყვნენ, რომ გულთმისნებს არ დაუვარდებოდენ. ისინი სხვა-და-სხვა მანქანების შემწეობით ზღვაში, ხმელეთზე და ჰაერში თანასწორად დადიოდენ. ისინი წინდაწინ იტყობდენ ჰაერისა და ბუნების ყოველს გვარს ცვლილებას, როდის დარი იქნებოდა, როდის აედარი, როდის აი წელიწადი დადგებოდა და როდის კარგი.

თანახმად ამისა ყოველს საქმეს მისდა შესაფერად იწყებდენ და შესაფერი დიდი სარგებლობაც გამოსდიოდათ. იმისთანა ხელსაწყობი ჰქონდათ, რომ მითი ერთი კაცი ასი კაცის ოდენას აკეთებდა; ისეთი გუთნები ჰქონდათ, რომ ხნულში თავისით დადიოდენ და ერთი ასად მეტს მუშაობდენ; ისეთი სალეწავ-სანიავებელი ჰქონდათ, რომ თვითონ ლეწდა და ანიავებდა; კაცი ხორბლისა და ბზის გროვებასაც ვერ ასწრებდა; ისეთი წისქვილები უბრუნავდათ თავის თავად, რომ ერთი თვალი ათი თვალის ოდენას ფქვავდა; ისეთი სამჭედურები ჰქონდათ გამართული, რომ თვალის დახამხამებამდის ასი სხვა-და-სხვა ნაირი რკინეულ-ავეჯულობა გამოდიოდა იქიდან; ისეთი საფეიქროები ჰქონდათ, რომ, როცა ჭახრაკს დაატრიალებდენ, ასი მოსახლის საყოფი სამოსლები უცბად იქსოვებოდა. ღმერთს სიუხვის კალთა ამ ერის თავზე დაებერტყა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ყველანი თავის თავის პატრონნი და ბედნიერნი იყვნენ, ჭირში და ლხინში მუდამ ერთმანეთის თანამოზიარენი და თანამგრძნობელნი იყვნენ; იქ ღარიბი და გაჭირვებული არ მოიძებნებოდა, რადგან ყველანი მუდამ თანასწორად შრომობდენ. ყველას საერო საქმე თავის საკუთარ საქმედ მიაჩნდა, ყველანი ერთის გულისათვის თავს სწირავდენ და ერთი ყველასთვის.

ღვთის-წყალობას ძალიან მოეწონა ეს ქვეყანა და წამოიძახა: „ნეტავი მანახვეაო“! ამას შემდეგ მოჩიტებული ყმაწვილი დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ამხანაგები ხშირად ეუბნებოდენ მას დაცინვით: ღვთის-წყალობა, აგრე რამ გაგალენჩაო? იმას-კი იმ ქვეყნის ნახვის სურვილით სისხლი უღელავდა და გული ჰქონდა გატაცებული. ბოლოს გადასწყვიტა იმ ქვეყანაში გაპარვა.

გათენდა მეორე დღე, მღებარმა საღებავი ჩაუკიდა. შეგირდები გარს შემოესივენ. მღებარმა დაურიგა თავის მოწაფეებს სხვადა-სხვა სამოსელი შესაღებავად. ყველანი იქ იყვნენ, მხოლოდ ღვთის-წყალობა არსად ჩანდა. მღებარმა მოიკითხა იგი, მაგრამ ის ვეღარავინ ნახა. გაგზავნა კაცი მის დედ-მამასთან; აღარც იქ იყო.

ბოლოს გაისმა ხმა, რომ ღვთის-წყალობა დაიკარგაო. ბევრი ეძებეს იმ არე-მარეს, მაგრამ მისი კვალიც ვეღარსად იპოვეს. დედ-მამას თავ-ზარი დაეცა, მორთეს ტირილი და თავში ტყაპა. აბა მწუხარება რაღას უშველიდათ? მაგრამ ვაჟის დედასა და მამას არც ახლა შეუსუსტდათ გული ქვეყნის სამართალზე. „ღვთის წყალობა იყოთ და ღმერთმაე წაგვართვაო. მადლი მის განგებასაო!“ ამას შემდეგ ცოლი და ქმარი კიდევ უფრო გულს მოდგინედ შეუდგენ პატიოსანს შრომას და მშვიდობიანად ცხოვრებას.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა კ ა დ უ ლ ი

ეიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ლულულ-ჩუხჩუხით, ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ სავოლში.

მიყვარს იმისი კიდეები დაბალ და მსუქან ბალახით შებურვილი და ამ ბალახში მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.

მიყვარს ნაკადული დილით, როდესაც მის პატარა ტალღებში ამომავალი მზე ალმაცერად აციმციმებს და პირს ჰბანს თავის ბრწყინვალე სხივებს.

მიყვარს ნაკადული მთვარიან ღამეში, როდესაც იმისი ტკბილი ლულუნი ღამის სიმყუდროეში ერთი-ათასად უფრო ტკბილდება, და მთვარის მკრთალი ნათელით ოქრო-ვერცხლდება, და დაღონებულ ადამიანს გულს და თვალს სიმშვიდით და სიმშვენიერით ელამება.

მიყვარს ნაკადული მაშინაც-კი, როდესაც ავდარს შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმა-მაღლა რიხიან ბაასს დაიწყებს.

მაგრამ ყველაზედ მეტად ნაკადული იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, ის არის გამცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი, ედემათ მქცევი, გამხმარ, შავ დედა-მიწის გულისა, დედა-მიწის ძალ-ღონის და შიგ დამარხულ სიმდიდრის ძარღვის გამხსნელი; მიყვარს იმიტომ, რომ ნაკადულს, ტკბილს მოლულულნეს, ვერცხლებ ბრჭყვინვალეს და დედოფლურად, ტურფად მოკაზმულს, ძალუძს ააყვავილოს და ბუნებას, მკედარს და უფერულს, სული ჩაუდგას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს.

ეკ. გაბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხვარის ამბავი

(ლეგენდა)

ერთს მთა ადგილას სცხოვრობდნენ სამნი ძმანი, უფროსი იყო მეცხვარე, შუათანა—მხვნელ-მთესველი და უმცროსიც იქით და აქეთ მოსიარულე და მორჩილი უფროსის ძმებისა.

უფროსს ძმას თუმცა მოჯამაგირეთ მწყემსები ედგა ცხვარში, მაინც ჩვეულებად ჰქონდა: ყოველ კვირა დღეს თვითონ ცხვარს დაუდგებოდა, მოჯამაგირეებს შინ, ბინაზედ დააყენებდა და ასე ეტყოდა:

— თქვენც სხვისი შვილები ხართ და, რა გინდ კარგად იყენეთ ჩემთან, მაინც ხხვის ხელში ტყვესა გვეხართო; თქვენც დაისვენეთ, დაიკერეთ ტანისამოსი და დაირეცხეთო.

ამ კაცის ფიქრი მარტო ის-კი არ იყო, რომ მწყემსების გული მოეგო; ამასაც ფიქრობდა: ჩემის მოჯამაგირეებისთვის არც ერთხელ ღალატი არ შემიმჩნეია, ერთგულნი არიან, მაგრამ ჯერ ერთი ნათქვამია:—უპატრონოდ საქონელი ტირისო,—და მეორეც ესა, რომ თუ მეც თითონ საკუთარის ხელით შრომა არ გავსწიე და საჭმლის ფასი მაინც არ გავაკეთე, რაც უნდა ბევრი ქონება მქონდეს, ისიც დამელევა და არც საჭმელი შემერგებაო.

ერთს დღეს ეს კაცი ჩვეულებისამებრ საძოვარზედ გაჰყვა თავის ცხვრის ფარას და მოჰფინა მწვანე ბალახით შემოსილს და ციცის წყაროებით შემკობილს მთა-გორაკიანს სერებს ცხვარი; ამ დროს ნახა ამ მეცხვარემ:—ერთი უკეთესი ბერწი ცხვარი შუა ცხვრის ფარიდამ გამოვიდა ნაპირათ და დაეშვა თავქვე; მეცხვარე აქეთ-იქით უელის და ისევ ფარისკენ აბრუნებს გაგიჟებით მორბინალს ცხვარს, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იქნა და კაცმა ეს ცხვარი ცხვარში ვერ დააყენა და ისევ გავარდა ტყიან ჭალისკენ.

მაშინა სთქვა პატრონმა:

— მოდი, მივყვები და ვნახავ, სად წავა ეს ცხვარიო.

ცხვარი ერთს ტყიანს ჭალაში შეეიდა და საღღაც მიიმალა. აქვე ვიღაც ბოროტის კაცისაგან განგებ ორმო იყო გათხრილი იმ განზრახვით, რომ, როდესაც მდიდარი კაცი მთიდამ ჭალაში ცხვარს ჩამორეკავს, ორმოში რამდენიმე ცხვარი ჩაცვივა და მე ვისარგებლებო. მაგრამ ამ ორმოში ცხვარზედ უწინ მგელი ჩავარდა და საკოდავი ორის კვირის განმაელობაში სულ მშიერი იყო.

სწორედ ამ მგელის ბედზე ეს გაქცეული ცხვარიც პირ-და-პირ ორმოში ჩაეარდა და გახდა დამშეულის მგლის საღილი. პატრონმაც როგორც იყო ამ ხშირს ჭალაში ცხერის კვალი მიაგნო და ორმოს ზედ პირზე მიადგა. ორმოში დაინახა საშინლად გამაძღარი მგელი და ამის ცხერისა-კი მარტო მატყლის ბარკოები*) და ძელები-ღა დარჩენილიყო.

ამ ამბით გაკვირვებულმა პატრონმა ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა ასე:

— ღმერთო! შენა ხარ ყოველის არსების სულის ჩამდგმელი და შენვე ყოფილხარ დამრჩენიო, მადლსა ეწირავ, ღმერთო, შენს ყოველს დაწესებულებასა! ჩემი ცხვარი რომ აქ არ გამოქცეულიყო, მე ფიქრადაც არ მომიეიდოდა, თუ აქ ორმო იქნებოდა, და უფრო ბევრი ცხვარი ჩამიცვიოდა და ზარალიც ბევრი მომიეიდოდა. ეხლა-კი მეც გაფთხილებული ეიქნები, მწყემსებსაც გავაფრთხილებო და სრულიად ავიცილებ თავიდამ ზარალსაო.

„მეორეც ეს არის საკვირველი, რომ ყოველის-შემძღებელი ღმერთი ამ ქვეყნის ამომგდებ მგელსაც-კი ჩემს ცხვარს საზრდოდ აძლევესო ორმოში და მეც ამასთანა მგზავნის ორმოდამ ამოსაყვანადაო!“

ამ ფიქრების და ლოცვის შემდეგ მეცხვარემ ჭალაში ორიოდ ხის კუნძი მოიპოვა და ორმოში ჩაუშვა, მგელიც ორმოდამ მარდად ამოხტა.

---

*) ბარკო—მატყლის ბეწვეია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მგელო!—უთხრა კაცმა: თუმცა შენ ჩემთან დამშაშავე ხარ ცხვრის შეჭამისათვის, მაგრამ სიავისთვის სიავეს არ გაგიწევ, სიკეთით გადაგიხდი, დანაშაულობა მეც მიპატიებია და ღმერთმაც გაპატიოსო!

კაცი ისევ თავის ცხვრის ფარას დაუბრუნდა და ნახა, რომ იქ არაფერი აკლია. მერეკა ცხვარი ბინაზედ და უამბო თავის თავგადასავალი ძმებსა და მოჯამაგირეებს. მას უკან დიდ ხანს იყო მეცხვარე დაფიქრებული და მერე უთხრა ძმებს:—მე თქვენთან ცხოვრება აღარ მსურსო და გთხოვთ გავიყარნეთო.

ძმებს თუმცა ძალიან ეწყინათ თავიანთ უფროსის ძმის გაყრა, დიდის ოჯახის მოშლა და ცალ-ცალკე დანაწილება, მაგრამ რას იზამდნენ? სამთავე ძმებმა ჯერ მწყემსებს თავისი საჯამაგირო უკლებად ჩააბარეს და მერე მთელი საცხოვრებელი სამ თანასწორ ნაწილად გაჰყვეს, შემდეგ გაჰყვეს სახლებიცა და გავიდნენ ცალ-ცალკე. უფროსმა ძმამ თავისი ხვედრი საქონელი სულ ერთიანად ზოგი ბეჩავებს მისცა, ზოგი ძმებს აჩუქა და ზოგი მოჯამაგირეებს დაულოცა.

ამ კაცის ცოლი ქმრის ამისთანა ქცევაზედ ძალიანა სწყრებოდა და შინ არც-კი უდგებოდა:

— აშენებული ოჯახი დაღუპა ჩემმა ქმარმაო და რაღას დაეუდგე შინაო? ერთად-ერთი სახლის კუთხის მეტი ჩვენს ანაბარაზედ აღარა არის-რაო.

ბოლოს დედა-კაცი მაინც ისევ ბედს დაემორჩილა, ქმართანვე ცხოვრება არჩია და ასე სთქვა:—ავია თუ კარგია, მაინც ჩემი ქმარიაო; რაც ღმერთს ჩემთვის ბედი მოუცია, იმას უნდა დავსჯერდეო.

ქმარი-კი ყოველს ამ თქმაზედ ასე ეუბნებოდა ცოლს:

— დედა-კაცო! რას გეშინიან, თუ-კი ღმერთმა მგელი არ დაიეწყა ორმოში, მე აქ რაღას დამიეწყებს? თუ მას ნებაეს, განა აქ არ მომიტანს საზრდოსა?

ცოლს მაინც გული არ უსვენებდა და უწყრებოდა ქმარს. როგორც იყო, ამ დედა-კაცმა ორი ზაქი გამოართვა თავის მშობლებს და ქმრის სახლში მორეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმარი გაუჯავრდა, მინდერად გაარეკინა და უთხრა:—თუ ღმერთს უნდა, თვითონ მოგვცემსო.

ზაქები ამ სახლიდამ შორს არსად მიდიოდნენ და იქვე სოფლის ახლოს ველზედ სძოვდნენ, და როდესაც დასცხებოდათ, ტბებში შეცურდებოდნენ ხოლმე.

დედა-კაცი წავიდოდა, ქმრის მალვით ზაქებს სახლის ეზოში შემორეკავდა საღამოზედ და იტყოდა:—ჩემს ქმარს ღმერთი გაუწყრა და დაზარმაცდა! აბა ღმერთი რას მოგვცემს, თუ ჩვენ თვითონ არ გავისარჯებითო!

ცოლი ამ კაცისა ჩვეულებისამებრ ერთს საღამოზედ სოფლის იქით გავიდა ზაქების მოსარეკად და ნახა, რომ ზაქებს, ტბებიდამ გამოსულებს, უბულრაევნიათ მიწაზედ და ფეხით მიწის თხრაში ამოუჩენიათ ერთი დიდი სიპი ქვა, რომელიც დაფარებული ყოფილა ერთს დიდს თვალ-მარგალიტით და ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრზედ. მანდილოსანმა ქვევრს ახადა პირი და, ამოდენა სიმდიდრე რომ ნახა, სიხარულით ზაქების სახლში გარეკვა-კი აღარ მოაგონდა, მაშინვე ქმართან გაიქცა და უთხრა:

— კაცო! მართლა შენი სიტყვა ასრულდაო! ღმერთმა ამოდენა სიმდიდრე და საუნჯე გვაპოვინინა, რომ ჩვენს შვილსა და შვილის-შვილსაც აღარ დაელევაო, წამოდი და შინ მოვიტანოთო!

ქმარმა უპასუხა:

— თავი დაანებეო! თუ ღმერთს უნდა, იმ ქვევრს აქ სახლშიც კარგად მოგვიტანს და თუ არა, და იქნება ღმერთს სხვისთვის სურდეს და ჩვენ რისთვის უნდა ვაწყენინოთო.

დედა-კაცი ამ თქმაზედ უფრო განრისხდა და მაშინ-კი სრულიად დარწმუნდა, რომ ჩემი ქმარი სულელიაო. ჯავრით აღვსილმა და ქმარზედ გაჯავრებულმა ცოლმა მიმართა ერთს მახლობელს მეზობელს, საიდუმლო გაუმჟღავნა და უთხრა:

— ამდამვე წამომყევ აქა და აქ, სადაც მე ვიცი თვალ-მარგალიტით და ოქრო-ვერცხლით სავსე ქვევრი მიწაში ჩაფლული, მოთხარე, ამოიღე და ნახევარი შენ, ნახევარი მეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახარებული მეზობელი მაშინადვე თოხით და ნიჩბით მანდილოსანს უკან გაჰყვა, მივიდნენ ქვეერთან და ნახეს, რომ თვალმარგალიტის და ოქრო-ვერცხლის მაგივრად, იმოდენა ქვეერი გველებით, ხვლიკებით და კუ-ბაყაყებით გაესილიყო.

ამ ქვეერის მხილველი გლეხი განრისხდა ამ მანდილოსანზედ და უთხრა:

— მართალია, აეი მეზობელი აეის მტერია, მაგრამ ჩემგან-კი შენ არასოდეს სიავე არ გახსოოს, და რა დაგიშავე ისეთი, რომ ჩემის ცოლ-შვილის დაღუპვა მოიწადინო? რაზედ სახლში მივიტანდი ამ ქვეერსა და ამ მაენე გველებს დაეუსვედი ჩემს წვრილ-შვილებსაო! ღირსი-კი ხარ, რომ ამ ქვეერში შენვე ჩაგაგდოო!

ამ სიტყვების გამგონე დედა-კაცი შინისკენ გიმოიქცა და გაელდიანებული ლოგინში ჩაწვა.

მეზობელმა სთქვა:—აბა რა-კი მტრობა არის და მაგ მანდილოსანს ჩემი შვილების დაღუპვა სდომებია, ახლა მე ვაყურებინებ მაგათ სეირსაო! მოთხარა ეს ქვეერი, აიკიდა და ამ დედა-კაცის ბანზედ აიტანა; სარკმელიდამ ერთიანად სახლში ჩაყარა და უთხრა:

— წყეულო დიაცო! შენ გსურდა ჩემი ცოლშვილის დაღუპვა და აბა ახლა ნახეო, დილაზე შენ და შენს ქმარ-შვილს რა დაემართებაო.

დილაზედ, როდესაც დედა-კაცი ლოგინიდამ წამოდგა, იხილა, რომ მის სახლში დიდი თვალმარგალიტის და ოქრო-ვერცხლის გროვა არის. მაშინ ცოლმა გაიღვიძა ქმარი და უთხრა:

— კაცო! ის ძვირფასი საუნჯე აგერ ჩვენს სახლში ვიღასაც მოუტანიაო.

მაშინ ქმარმა უთხრა ცოლსა:

— აკი გითხარი, რომ ღმერთს რაც ნებავს და ვისთვისაც ემეტება, იმას არ გამოეწირვისო, და ვინც რის ღირსია, ისიც ხომ იმან უკეთ იცისო.

ამ სახით ცოლ-ქმართ შეიძინეს იმოდენა სიმდიდრე, რომ რაც იმ სოფლად გლახაკნი იყვნენ, ისენიც დაამდიდრეს და მათ შვილიშვილსაც ულევარი სიმდიდრე დარჩათ.

ს. ჯობაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესტვირეს ლექსი

(ჩაწერილი თ. რიზიკაშვილისაგან)

ენი ჭირიმე შენია,
ჯიბეს ჩაიყავ ხელია,
ან ამოიღე აბაზი,
ან უზალთუნი ჭრელია!
სირცხეილისაგან გამოვა
ულვაში, თმა და წვერია.
დაჰხარჯავ ნამუსისათვის,
ვინ არის გადამყრელია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც შენ დაიხარჯები,
ღმერთია გადამხდელია.
ღმერთმა გაკოცხლოს დიდხანსა,
მოგცეს ადამის დღენია;
სოფელში იარებოდე,
არ იყოს შენი ფერია!
უწინ შენ მოგაკვლევინოს
შენზედ მოსული მტერია,
აჰყარო იარაღები,
საპირისწამლო ჭრელია,
გაჰხადო ტანისამოსი,
მოსჭრა მარჯვენა ხელია!
ცაში გაგგზავნი ქებითა,
ვარსკვლავს მოჰკიდო ხელია,
ახვიდე და ჩამოხვიდე
უვნებელი და მთელია!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარ-პატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი მეექვსე

აუვიწყარო ძმაო კოტე! შენმა წერილმა ძალიან დამადონა. იწერები, განაყოფიანთ ჰატარძალმა მარომ თხლის შეჯამანდის სურვილით ქვეყნიერში თავი ჩაირჩოვო. თან იმასაც უმატებ, რომ ეჭ, მადლობა ღმერთს! ალბად წერა იეოო და რაც შუბლსე ეწერა, ის გადახდაო.

მასწავლებელმა შემატეო დამმარებულ სახეზე, რომ რა-ღაც ამბავიაო, და მკითხა:— «რას მოღრუბლულხარო?» მე გარდავეცი შენი წერილი და თან ისიც მოვახსენე, რომ საწყალ მაროს ცუდი წერა შეხვედრია, და ვინ იცის, მე რაღა წერა მელის მეთქი.

მასწავლებელი თან კითხულობდა წერილს და თან შუბლ-შეკრულ სახეზე ალმური ასდიოდა; მერე მომიბრუნდა და გაჯავრებით მითხრა:

— წერა-კი არა, ჩემო ილიკო, ჩვენი უმეცრება არისო. ამ გვარი უბედური შემთხვევა იქნება ჰირველი გვონია? ამ ორიოდე წლის წინად ჯავახეთში, სოფ. ბარალეთში, ოთხმა ვაჟკაცმა ზედიზედ ჩაირჩვეს თავი ჰურის ორმოშიო!

ამ ლაპარაკზე მასწავლებლის ნაცნობი შემოგვესწრო. ამასაც ძრიელ ეწყინა ეს ამბავი და გულ-აშფოთებულმა წამოიძახა:

— ეგ განა ჭირველი და უკანასკნელი შემთხვევა არისო? წელიწადი ისე არ გაივლის, რომ სქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ათამდე კაცმა არ ჩაიჩოს თავი ან ჭურის ორმოში, ან თხლიან ქვეყრშიო. სირცხვილი ჩვენთვის, რომ ვიცით და სალსხ-კი არ ვასწავლით და არ ვაფრთხილებთო.

ბოლოს დაუმატა:—სწავლა გვინდა, სწავლა, თორემ უსწავლელობა—სიბნელეა, ჯოჯოხეთის ბადალიაო!

იმ დამეს ძილი გამიტეხა, სულ იმას ვფიქრობდი, თუ წერა არ ეოფილა, მაშ რადა ბიზეზით უნდა ეფოს-მეთქი, და მეორე დღესვე ვსთხოვე მასწავლებელს, აესწნა ჩემთვის.

— სამეც ეგ არის ჩემო ილიკოვო,—მითხრა მასწავლებელმა,—რომ რასაც გონება ვერ მიგვიწვდება, ვველა-ფერს წერას ვაბრალებთო. ტეუილად-კი არ არის ნათქვამია: «სამეს წაახდეს რეკვენი, ფათერაკს დააბრალებსო».

აგრეთვე ნათქვამია,—ღმერთმა ვადმოხედა და ბძანაო: რამდენი ჩემი უნებური მეკადრი ძეკსო.

მასწავლებელმა ბოლოს დაუმატა: დიდი სიამოვნებით ვველაფერს აგიხსნიო და ჯერ-ჯერობით-კი მისწერეო კოტეს, რომ ამ შემთხვევაშიაც ჭაერს უნდა მიეაქციოთ უმთავრესი ეურადღებაო.

როდესაც ქვევრს სარქველს ახდით, მეტადრე თუ შიგ მარტო თხლე-დაა ძირში, უნდა ეცადოთ, რომ სარქველის ახდის დროს ქვევრის მმიმე დამწეკდეული ჭაერი ცხვირ-ბირში არ გეცემოთ. ახდილ ქვევრს დაეცადეთ ორი ან სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასთი, რომ ქვეყრის მძიმე ჭაერი ამოქრეს, ამოიწმინდოსო და მის მაგიერ სუფთა ჭაერი ჩაგიდგესო, და რა-კი ჭაერი დაიწმინდება, მერე რამდენიც უნდა ჩაეყუდოს ქვეყრში, არა-ვითარი შიში არ არისო.

ამ გვარადვე, როდესაც ორძოს აგზდით ხოლმე, ახდის დროს უნდა ცხვირ-პირი ვარიდოთ ორძოდგან ამოგარღნილ მძიმე შმორიან ჭაერს და ახლად ახდილ ორძოს უნდა დავაცადოთ ორი-სამი სასთი, ვიდრე დამშალი, შმორიანი ჭაერი ამოქრება და შიგ ახალი წმინდა ჭაერი ჩავა. რაკი ჭაერი ამოიწმინდება, მერე, თუნდ ათი კაციც ჩაგიდეს ორძოში, საშიშო ადარ არისო. აი ამ გვარ სიფრთხილით აგიცდენთ თავიდგან იმ უბედურებას, რომლის მსხვერპლად ჩვენი უმეცარი სალხი ხდებაო.

მასწავლებელმა ბოლოს ისიც დაუმატა: ბეგრჯელ მო-ხდება ხოლმეო, რომ, როცა სადმე ეერანა ადგილს ან რამე აკლდამს წაასწედებიან, მაშინადვე ხთხრიან, ეგებ ოქროს ქილები ვეპოვოთო. ვინ იცის, იქნებ მართლაც ეწეს იქ ოქროს ქილები, მაგრამ თხრას დაუწყებენ თუ არა, უცბად ერთი რადაც «მაგნე» ამოვარდება და ვი-ი იმას, ვინც გაბედა ეს საქმე, იქვე ბირქვე დასცემს ხოლმეო. ბატარად რომ მოსურიელდება, თავ-გაბრუებული დაბრუნდე-ბა შინ და ამბობს: — ხაზინა ვეპოვე, მაგრამ ი ოხერი ეშ-მაკი დაჭაბატრონებია და არაგის უშვებსო. ამის შემდეგ იმ ალაგს ეველანი ბირჯვრის წერით შორს უვლიან და ჩუმად ბუტბუტებენ: «დასწყევლოს სამას სამოც და სამმა წმინდა გიორგიმოო».

აბა ახლა ისე ოსტატურად გათხრეთ ის ალაგი, რომ ბირეული ამოვარდნილი მძიმე დაშმორებული ჭაერი ცხვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირში არ გეცვეთო, და რაკი აკლდამის დამწუვდიულ ჭაერს გზას მისცემთ, დაცალდეთ ერთი დღე, ან რამდენიმე საათი, ვიდრე გაფუჭებული ჭაერი სრულებით ამოქრება, ამოწმინდება და მის მაგიერ ახალი სუფთა ჭაერი ჩადგება,—მაშინ შეგიძლიანთ რამდენიც გინდათ თხაროთ, არსეინად შესვიდეთ და მონახოთ ოქროს ქილები და, თუ იპოვეთ, მერწმუნეთ, ეშმაკი ადარ შეგეცილებათო.

აბა, კოტე, შენ იცი და შენმა ბიჭობამ! თუ ძმობა გწამს, ეს ჩემი წერილი ვეკლა მცნობს და უცნობს წაუკითხე და დაწერილებით აუსხენ მასწავლებლის დარიგება, რომ თავგებსაკით ადარ იხობდნენ თავს.

გამომშვიდობების დროს მასწავლებელმა მითხრა: თუმცა არ-კი ვიცნობდი, მაგრამ ახალგაზდა მაროს ტეუილ-უბრალოდ თავის გაფუჭება და მისი უდროოდ წუთის სოფლის გამოსალმება, სწორედ გითხრა, ძნიელ მეწყინა, და გულს უფრო ის მიელავსო, რომ ჯერ აქნობამდე ჩვენი ხალხი უმეცრების ნისლით არის მოსილი და გულშემატკივარნი სწავლულნი, ხალხის დამრიგებელნი-კი ცოტანი გვეგვანანო.

მე ვკითხე:—ის გაფუჭებული ჭაერი, რომელიც ასე შეუბრალებლად ახოობს ხალხს, რისგან ან საიდგან წარმოსდგება-მეთქი?

უმთავრესი მიზეზი ის არისო,—მიპასუხა მასწავლებელმა,—რომ გაფუჭებულ ჭაერში ჩვენი ნაცნობი მეაქმბადი სრულებით არ ურევია და, თუ ურევია, თავისუფალი არ არისო. და რაკი ჩვენი უკვდავების წყარო, მეაქმბადი, მოვეკალდება, მაშინადგე სული აძოკვსვდება ხოლმეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, მშიერ-მწყურვლად კაცს შეუძლიან რამდენიმე დღე გასძლოს, და ისიც ხომ ვიცითო, რომ ერთმა ამერიკელმა ექიმმა, სახელად ტანნერმა, თითქმის ორმოცი დღე გასძლო მშიერმაო და შემდეგში ბევრმა სხვამაც იმარხულა ასეო, მაგრამ უსუნთქველად-კი არავის ჩვენგანს არ შეუძლიან, ნახევარი წამიც გასძლოსო. მაშასადამე უწმელუსმელად ვძლებთ, მაგრამ მეტაბადით შიმშილს-კი ნახევარ წამსაც ვერ ვიტანთო.

გაფუჭებულ ჰაერის ნაწილების წესიერად ასახსნელად საჭიროა, გავიცნოთ კიდევ ბუნების ერთი მარტივი სხეული, რომელსაც ნახშირბადი ეწოდებაო და რომელიც ოთველთვის ურევია ჰაერშიო. როგორც მეტაბადი ჩვენი უკვდავების წყაროა, ისე ეს ნახშირბადი ჩვენი სულთა-მხუთავიაო და ამ სულთა-მხუთავის ახლოდ გაცნობა ძრიელ საჭიროა ჩვენთვის, რომ შემდეგში დიულაბიასავით ადარ ჩაეუვარდეთ კლანჭებშიო.

ამ ნახშირბადს ცხოველთა და მცენარეთა ეოფა-ცხოვრებაში მნიშვნელობა აქვსო და ამიტომაც ნახშირმბადზედ შემდეგ ეიბაასებთ დაწვრილებითაო.

მშვიდობით, ძმაო კოტე, დმერთმა ძროს სასუფეველი დაუმკვიდროს და ჩვენ-კი ჭეა-ეონება გაგვინათლოს და გვიხსნეს უმეცრების ნისლისა და ბურუსისაგან. ეცდები შენც სიჩქაროდ მოგწერო, რასაც მიამბობს მასწავლებელი ი ნახშირმბადზე.

შენი მოსიყვარულე ძმა **იდიკო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი მეშვიდე

ძვირფასო დაო ანიკო! ვერ წარმოიდგენ, რა აღტაცებით გწერ ამ წერილს! დმერთო ჩემო, რა ტკბილი ყოფილა ე დალოცვილი სწავლა! არა მინდა რა, დაო, ნეტა შენც შეგეძლოს იცრძნო ის სულის სიხარული, როგორც მე ეხლა სულიერად ვხარობ.

ახლა, დაო ანიკო, უნდა ის გახარო, რომ აგერ ეს ერთი თვე მეტია, რაც მე და ჩემი დაუღალავი მასწავლებელი სულ მცენარეებზე და მათ ცხოვრებაზე ვბაასობთ. წარსულ წერილში დაგპირდი, შენთვისაც გამეზიარებინა მასწავლებლის ნაამბობი და ეხლა ვასრულებ ჩემს დანაპირს.

ჯერ რადაც ნახატები მაჩვენა, სულ უჯრა-უჯრა იუნენ მოწყობილნი, თითქო თაფლის ფიტის მრგვალ-მრგვალი ნაჩვრეტებიაო, და მერე მითხრა:

— რომ აგიღოთ დიდი უშველებელი მუხის ხე და ამას შეავდაროთ სულ უბრალო მცენარე, მაგალითად თუნდ ჩვენი ბოსტნის ტარხუნა, და დავაკვირდეთ ამათ ცხოვრებას, აღმოჩნდება, რომ ეს ორივე მცენარე ბუნების ერთსა და იმავე წესს ემორჩილებაო. ესე იგი, იბადებიან (აღმოცენდებიან), ეოცხლობენ, იკვებებიან და იზრდებიან; შემდეგ, როცა ასაკში მოვლენ, ქორწინდებიან, სტოვებენ თესლს თავისიავე მსგავს მცენარეების გასამრავლებლად, ბოლოს კვდებიანო და ასუქებენ იმავე ნიადაგს (მიწას), საიდანაც სიცოცხლის დროს საზრდოს სწოვდნენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, დაო ანიკო, ახლა შენა გკითხავ,—რითი-და ჩა-
მორჩება მცენარე ცხოველს?

აი ამის ჴასუხს მასწავლებელი თითონ გვეტყვის. ერ-
თი სიტყვით, ღვთისაგან დადგენილმა ბუნების წესმა, კა-
ნონმა მცენარეებსაც ისეთივე ცხოვრება მიანიჭა, რო-
გორც ცხოველებსო. უმთავრესი განსხვავება ცხოველთა და
მცენარეთა შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობსო, რომ
ცხოველები თავის ორღანოებ შორის შეიცავენ იმ გვარ
თვისების ორღანოებსაც, რომლის შეშფოთებით გრძნო-
ბა, სმის ამოღება შეუძლიანთ და თავის ნებით მოძრაო-
ბენ კიდეცაო.

მე მაშინადვე დავეკითხე, ორღანოები რაღას ჴქვიან-მეთქი,
და აი როგორ ამისსნა:

სიტყვა ორღანო ბერძნული სიტყვა არისო და სა-
ზოგადოდ ნიშნავს ადამიანის, ცხოველის და მცენარის სხვ-
ულის რომელსამე ნაწილს, ანუ ასოს, რომელიც დანიშ-
ნულია ერთი რაძ მოქმედების აღსასრულებლადაო. მაგა-
ლითად თვალი არის ორღანო მზედველობისა, უური—ორ-
ღანო სმენისა, ცხვირი—ორღანო ენოსვისა და სუნთქვა-
შიაც ძრიელ გეესმარება, ენა—ორღანო ეემოვნებისა და
მეტეველებისა, ჴამის დროსაც ხომ, რადა თქმა უნდა, დიდ
ფაცი-ფუცშიაო; ძარღვები (ნერვები)—გვაგრძნობინებენ
შეხებას და სხვა დანიშნულებასაც აქვო. ფილტვები—ორ-
ღანოებია, რომელთა დანიშნულებაა ჴაერის შესუნთქვა და
ამოსუნთქვა; კუჭი არის ორღანო საჭმლის მოამზადებელი,
ფესვები არიან ორღანონი მატარებელნი, რომელთა
შეშფოთებითაც ვმოძრაობთ, და სხვა და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სიტყვით ყველა ორდანოს ერთხელვე დაწესებული აქვს ბუნებისაგან რაიმე მოქმედება, და მანამ ორდანო სადი და ცოცხალია, ყოველად შეუძლებელია, რომ იგი ბუნების წინააღმდეგი განდეს და თავის მოვალეობა პირნათლად არ ასრულოსო.

ამასთანავე მასწავლებელმა ისიც დაუმატა, რომ ყველა მეცნიერებას თავისი განსაკუთრებითი სიტყვები (ტერმინები) აქვსო და, თუ არ იცი მათი მნიშვნელობა, ვერას გაიგებო. ამიტომ გირჩევ, რაც ერთხელ აგიხსნა, კარგად დაიხსომო მისი მნიშვნელობა, რომ შემდეგშიაც გამოგადგესო.

ბოლოს ისევ მცენარეების და ცხოველების ამბებს მოიტეგა:

უმაღლეს ცხოველებ და მცენარეებ შორის განსხვავება ყველასათვის აშკარა არისო: ყველა ჩვენგანი სუდავს, რომ ცხოველნი მოძრაობენ, სმაურობენ, შესებას გრძნობენ, სჭამენ, ინელებენ და სხვა და სხვა.

მცენარეებსკი მხოლოდ იმას ვატყობთ, რომ ჩვენ თავლწინ აღმოცენდებიან, იზრდებიან, ცოცხლობენ, მრავლდებიან და იხოცებიან, მაგრამ, როდესაც მეცნიერნი ბუნებას კარგად დაუკვირდნენ და წვრილძარღვების ჩხრეკას და ძიებას გამოუდგნენ, მრავალი იმ ვეარი უბრალო და უმცირესი სხეულნიც აღმოჩნდნენ, რომ ჯერ აქამომდე მეცნიერებმა არ იციან, ცხოველებს მიაწერონ ეს წვრილ-ფეხობა, თუ მცენარეებს.

მაგალითად, ხეებსა და მდინარეებში ზოგიერთა იმ ვეარ ცხოველებს ჰოულობენ, რომელთაც არც თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტყობათ, არც ბოლო და გარეგან შეხედულობით ნამდვილად მცენარეს ჰგვანია. ამ წვრილ-ფეხა ცხოველებში ზოგი მთელ თავის სიცოცხლეს მიკრობილია ერთსა და იმავე ალაგზე და მრავალ მათ გვარ ცხოველებში აქნობამდე ვერ აღმოაჩინეს ვერც საჭირო ორღანოები და ვერც ნერვების (ძარღვების) წუობილება, და არც სამაგისოდ მკრძნობიერობას იჩენენ; ხმაურობას ხომ სრულებით მოკლებულნი არიანო.

ამ გვარადვე არიან იმ ნაირი მცენარენიც, რომელთაც მცენარის სახიერება სრულებით დაკარგული აქვთ და თითქმის რომ მოძრაობენ კიდეც, და ასე გასინჯეთ, შეხებასცალკე გრძნობენო. და, თუმც ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, როგორც გვარწმუნებენ, ზოგიერთა მცენარეები ხმაურობენ კიდეცაო.

ერთი სიტყვით, მეცნიერებს იქამდე გაუძნელდათ ამ ზოგიერთა უბრალო, უმცირეს, წვრილძან სნეულების გარჩევა, თუ მათში რომელი ცხოველია და რომელი მცენარე, რომ ამ ბოლოს დროს ერთს გაძმაჩინელ ბუნების მეცნიერს, სახელად გეკელს, ახრად მოუვიდა, ბუნების მეტყველებაში ამ ჭილდო-ძალდოს ცალკე ადგილი დაუთმონ, ერთად შეერიბონ და ამათთვის ცალკე მეცნიერება დაჭბადონო.

ახლა, დაო ანიკო, ჩემი თქმა რაღად გინდა, ადვილად წარმოიდგენ, ამდენ ამბების მოძსმენი, რა მდგომარეობაშიაც ვიქნებოდი. მასწავლებელიც მიმიხვდა, რომ გაშტერებული დავრჩი: კიდეც მჯერა, ეჭვშიაცა ვარ და გონებაც დამეფალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მასწავლებელი გამომეშვიდობა და მითხრა: ამ ხელად-კი უკაცრაოდ და შემდეგ რომ ვიბაასებთ, ამ ზემოჩამოთვლილ ცხოველებს და მცენარეებს შენის თვალით გაჩვენებო და მაშინ ჩემი სიტყვების სიმართლეს უეჭველად დაერწმუნებიო. მე, რასაკვირველია, დიდი მადლობა მოვახსენე და წამოვედი შინისკენ.

ახლა, დაო, სულ ამ მოლოდინში ვარ, ერთი როდის მოიცლის მასწავლებელი, რომ მაჩვენოს ის უცნაური ცხოველები და მცენარეები.

ერთი სიტყვით, დაო, ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა ისეთნაირი ხალისი აღძიძრა სწავლისა და ისეთნაირად შემაყვარა ბუნება, რომ მზადა ვარ, მთელი ჩემი სიცოცხლე ბუნების შესწავლას შევსწირო. სხვა რადა თავი შეგაწუინო, ჩემო საყვარელო დაო!

დავშთები შენი ბედნიერების მოსურნე **ალიკო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰაერში მოგზაურობა

ერთხელ მასწავლებელი თაეის შეგირდებით სასეირნოდ წავიდა მინდერად. ცხელი მაისის დღე იყო. ყმაწვილები სირბილით მოიქანცნენ და, ძალიან რომ დასცხათ, ერთ ხის ქვეშ შეგროვდნენ გრილოში.

— ნეტა ფრინველსავით ფრთები მომცა და!—ინატრა ერთმა შეგირდმა, რომელსაც სკოლაში ყველანი პეტრიკას ეძახდნენ.

— რად გინდა? - ჰკითხა მასწავლებელმა.

— აი ეხლა სიარულის თავი აღარა მაქეს და ფრთები რომ მქონდეს-კი, აეფრინდებოდი და ერთ წამს შინ გაეჩნდებოდი.

— მერე მზისა არ გეშინიან?—სიცილით თუხრა მასწავლებელმა.

— მზეს რა ხელი აქეს ჩემთან, რად უნდა შემეშინდეს?! მაღლა უფრო კარგიც იქნება, იქ ხომ უფრო ეგრილება!

— აბა მაშ ყური დამიგდეთ, ერთ ძველის-ძველს ამბავს გეტყეით,—მიუბრუნდა მასწავლებელი შეგირდებს.

ძველის-ძველ დროში სცხოვრობდა საბერძნეთში ერთი კაცი, სახელად დედალოსი. დედალოსს ჰყავდა ერთი შეილი, რომელსაც სახელად იკაროსი ერქვა. იკაროსიც ცოტა ჩვენ პეტრიკას ჰგავნდა. იმასაც ერთხელ ჰაერში ფრენის სურვილმა მოუარა და აუტყდა მამას: ჰაერში ფრენა მინდა ფრინველსავით და უსათუოდ უნდა მომიხერხო რამეო.

აყვა მამაც შეილსა, გააკეთა ფრთები, მიიბა თითონაც, მიაბა შეილსაც, წშინდა სანთლით დაიმაგრეს ორთაეემ, გასწიეს მაღლა და დაიწყეს ფრინველებსავით ჰაერში ნავარდობა.

ამასობაში ვეღარ შეიტყეს, რომ ხმელეთს მოჰშორებოდნენ და ზღვაში გადაფრენილიყვნენ. აქ საწყალ იკაროსს დიდი უბედუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება მოელოდა. ღეთის წინაშე, ამ უბედურების მიზეზიც კი თითონვე იყო.

მამამ წინადეე, ჯერ როცა ისეე ემზადებოდნენ გასაფრენად, გააფთხილა: შეილო, არამც და არამც ძალიან მაღლა არ წახვიდე, რომ მზემ სანთელი არ გაალხოს და უბედურება არა გეწეიოს რაო.

შეილმა მამის სიტყეა არ დაიჯერა, წაეიდა მაღლა, მაღლა, ისე მაღლა, რომ თითქმის მზეს დაუპირდაპირდა. მზემაც შეახურა, შეუკეთა, გაალხო წმინდა სანთელი, იკაროსს ფრთები მოსცეიდა, საბრალო ზღეაში ჩაეარდა და დაიხჩო...

—აბა, პეტრიკო, ეხლაც ინატრებ გაფრენას!—უთხრეს დაცინეით ამხანაგებმა.

პეტრიკო თაეჩაღუნული იჯდა და შერცხვენილი ხმას არ იღებდა.

—არ გამიჯაეროთ ჩემი პეტრიკო!—გამოესარჩლა ისეე მასწაელებელი:—ის, რაც იკაროსზე გითხარით, ზღაპრად ნათქვამი ამბაეია, თუმცა ამ ზღაპარში ცოტა სიმართლეც-კი მოიპოვება. მართლაც, ზღაპარი ზღაპრად იყოს და სჩანს-კი, რომ ჩვენი პეტრიკასთანა ხალხი ძველს დროშიაც ყოფილა. ჩანს, რომ მაშინაც ყოფილა სურეილი ცაში ფრენისა, ჰაერში მოგზაურობისა.

ან კი რატომ არ ინატრებდენ! ურიგო იქნება განა ჰაერში სიარული? არც კლდე დგიხვდება წინ, არც ღრე, არც აღმართი იცი, არც დაღმართი, მისდიხარ შენთვის ეაკე, თანასწორ, წმინდა, უმტეერო, უტალახო გზაზე,—მეტი რაღა გინდა!...

ამიტომაც ძველის დროიდგანვე ცდილობდენ რაიმე ღონე ეპოვათ, რომ ადამიანს შესძლებოდა ჰაერში სიარული ისე, როგორც დადის, მაგალითად, მიწაზე და წყალზე. მაგრამ ეტყობა, იკაროსის ბედი არა ერთსა და ორს ეწვია, რომ მალე თავი მიანებეს ამ საქმეს.

—მაშ არც ეხლა იციან არაფერი, რომ ადამიანს ჰაერში ასელა შეეძლოს?—იკითხა ისეე პეტრიკამ.

— შენ შენსას არ იშლი, როგორც გეტყობა, პეტრიკო,—უთხრა სიცილით მასწაელებელმა: ძალიან გეზარება, როგორც გატყობ, ეხლა ფეხით შინ დაბრუნება. მაშ იცი რა? მოდი ფრთებს თაეი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეანებოთ და აი რა ეინატროთ: ერთი კალათასაეით მოწნული რამ რომ გეკონდეს, თუ გინდ აი ჩეენი ლამაზი ქართული ტახტი, ზედ დაგსვან და ისე აგიყეანონ ჰაერში და შინ დაგსვან, მადლობელი არ იქნები!?

შეგირდებს გაეცინათ, პეტრიკა გაწითლდა...

— არ გეხუმრებით,—გააწყეეტინა მასწაელებელმა სიცილი ყმაწვილებს,—აი ეხლავე გიამბობთ ყველაფერს.

— აბა ჯერ მითხარით, თბილი ჰაერი უფრო სუბუქია, თუ ციეი?—იკითხა მასწაელებელმა.

— თბილი!—თამამად წამოიძახა პეტრიკამ ყველაზე მალე.

— ეინ გითხრა მერე, რომ ეგ ეგრეაო?

— განა არ მახსოეს, ზამთარში ბუხარი რომ გეენთო სკოლაში, გარეთ გასასელელი კარი რომ გააღეთ და კარებში ჩაგვაყენეთ: ძირს ფეხები გეეყინებოდა და ზემოდ კარის ბქეში-კი თბილოდა. მერე აკი სანთელი აეანთეთ, და, როცა სანთელი ძირს გეეჭირა, სანთლის ალი შიგნით გადმოდიოდა, როცა მაღლა ეიჭერდით, ალი გარეთ გადიხრებოდა ხოლმე. ეს იმას გეიჩეენებსო, გეითხარით მაშინ, რომ თბილი ჰაერი სუბუქია და მაღლა ადისო, ციეი-კი ძირს იფინებაო...

— ყოჩაღ, ჩემო პეტრიკო, კარგად დაგხსომებია.... ჰო და აბა მეც მაგას გეუბნებოდით: ე თბილი ჰაერით რომ ტომარის მსგაესი რამ გაეაესოთ, როგორ გგონიათ, რა მოუეა ტომარას? რა ძნელი მისახეედრია,—მაღლა-მაღლა წაეა.

მოაბი ეხლა ამ ტომარას თუ გინდ აი ის ტახტი, წეღან რომ გითხარი, და აი შენი ნატერა აგისრულდება, ჩემო პეტრიკო. ხუმრობა-კი იქით იყოს და აი სწორედ ამ გვარად მიჰხედნენ პირეელად ჰაერში ასელას, რაკი ფრინველებსაეით ფრენა ეერ შესძლეს. ეინ და როდის მიჰხედა ამას, ეხლაეე გეტყეით.

ამ ასი წლის წინად საფრანგეთში სცხოერობდნენ ორნი ძმანი, სახელად მონგოლფიერები. ამ მონგოლფიერებმა კარგად იცოდნენ, რაც ჩეენს პეტრიკასაც ასე კარგად დაჰხსომებია, სახელდობრ ის, რომ თბილი ჰაერი სუბუქია და მაღლა იწეეს. ამის გამო მონგოლფიერებმა გააკეთეს ტილოს ბურთი, სიგანით ეგრე ოც ადლამდის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურთს გარედგან შემოაკრეს სუფთა, თხელი ქაღალდი და ქვემოდგან ამ ბურთს განიერი პირი დაუჭირეს. პირთან ქვევიდგანვე მიაბეს მაყალი, რომელზედაც ნახშირი იყო გაღეივებული. ნახშირის სითბო ბურთში შედიოდა და შიგ მომწყვდეულს ჰაერსაც ათბობდა. გამთბარი და, მაშასადამე, გასუმბუქებული ჰაერი ბურთს აწევებოდა შიგნიდგან და მაღლა-მაღლა აჭქონდა.

ამ გვარ ბურთებს დაარქვეს „ჰაერში მოსიარულე ბურთები“ და პირველში მხოლოდ გასართობად და ყმაწვილების სათამაშოდ ხმარობდნენ. შემდეგ, რასაკვირველია, უფრო გააუკეთესეს ეს ბურთები, და ეხლა ხომ უფრო კიდევ კარგად და ხერხიანად აკეთებენ. ამ გვარ ბურთებს ეხლა უფრო ხშირად ჰ ა ე რ ო ს ტ ა ტ ე ბ ს (ნახე სურათი) ეძახიან. ჰაროსტატი ბერძნული სიტყვა და ქართულად ნიშნავს, ეითომ რასაც ჰაერში ასვლა და იქ გაჩერება შეუძლიან.

ჰაროსტატების გასაკეთებლად ტილოს მაგიერ უფრო მაგარს და კარგს ნივთს ხმარობენ; გამთბარ ჰაერის ნაცვლად წყალმბადს ხმარობენ. წყალმბადი ერთგვარი ნივთიერებაა, რომელიც გამთბარ ჰაერზედ გაცილებით მსუბუქია და ამის გამო ჰაროსტატი უფრო მაღლა აჭყავს. ჰაროსლატს ეხლა ქვემოდან დიდრონ კალათებს აბმენ, კალათაში რამდენიმე კაცი ჯდება და მაღლა ჰაერში ადიან. ხან-და-ხან ათი ვერსტის სიშორეზედაც ადიან მაღლა.

მსწავლულები ეხლა ბევრს ფიქრობენ, იმისთანა ღონისძიება მოიპოვონ, რომ ჰაერშიაც ისე თავისუფლად შეეძლოს ადამიანს სიარული, როგორც ხღვაში გემ-ხომალდებით. ეს კია მხოლოდ, რომ როგორც ხღვაზე, ისე ჰაერში ერთი საშინელი მტერი ჰყავს ადამიანს და ამის დასამარცხებლად ჯერ ვერაფერი ღონე მოუგონია კაცს. ეს მტერი—ქარია...

— მაშ აბა, ჩემო პეტრიკო, მანამ მსწავლულები ამ ქარს დაიმორჩილებდნენ და ჰაერში არამც თუ ასვლას, თავისუფლად სიარულსაც შესძლებენ, მეტი ღონე არ არის, უნდა ფეხები დაეიგძელოთ და შინისკენ გავწიოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერაკლი

(ჰერკულესი)

I

ჰერაკლი იყო ერთი უდიდებულესი გმირი ძველის საბერძნეთისა. იგი იყო საოცარის ღონის პატრონი; მისი მძლეველი არაკინ მოიპოვებოდა არა თუ მთელს საბერძნეთში, არც სხვა რომელსამე ქვეყანაში. თავის სიცოცხლეში ჰერაკლი სულ იმას ცდილობდა, რომ მორჩილი ყოფილიყო ზეესისა და ისე თავგამოდებული იყო ადამიანის სიკეთისათვის, რომ ყველაფერს ებრძოდა, რაც-კი ბოროტი და მაგნებელი იყო ხალხისათვის. რაც უნდა საშიშარი საქმე ყოფილიყო, უკან არ დაიხევდა: მზად იყო თავი შეეკლა, ოღონდ-კი ამით სარგებლობა მოეტანა თავის მოძმეებისათვის.

ჰერაკლი იყო შვილი თვით ზეესისა. პატარაობისას ჰერაკლს სხვა სახელი ერქვა: ეძახდნენ ა ლ კ ი დ ს. ჰერაკლი მერე დაარქვეს, როდესაც დავაჟკაცდა. დედა-მისი, ალკმენა, იყო მეუღლე ამფიტრიონ მეფისა, რომელსაც დიდი უბედურება შეემთხვა თავის სამშობლო ქალაქში: უცაბედად კაცი შემოაკვდა, ამის გულისათვის ჩამოართვეს მეფობა და გამოაგდეს თავის საკუთარ ქალაქ არგისითგან. მეფემ წაიყვანა თავისი მეუღლე, წავიდა ქალაქს თებეს, და იქ კრეონ მეფესთან შეაფარა თავი. აი ამ ქალაქს დაიბადა ის გმირი, რომლის სახელი მთელს ქვეყანაზე განითქვა და მთელის საბერძნეთის სასიქადულოდ შეიქმნა.

ჰერაკლის პატარაობიდგანვე ეტყობოდა, რომ იგი გამოჩენილი კაცი იქნებოდა. ამფიტრიონს და ალკმენას მეორე ვაჟიცა ჰყავდათ, სახელად იფიკლი. იფიკლი და ჰერაკლი ერთად იზრდებოდნენ. დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დას ორიეე ძლიერ უყვარდა და მუდამ თავს დასტრიალებდა. იმ დროს აკვანი არ იცოდნენ, და ალკმენა თავის პატარა ეაყებს აძინებდა ერთს დიდს ფარზე*); იმაზე გაუშლიდა ხოლმე ქვეშაგებს, ორიეეს ერთად ჩააწყენდა, მერე დაიდგამდა ახლოს თავის ლოგინთან და ფარის ნელ-ნელა რწეეით და ტკბილის ნანით დააძინებდა ყმაწვილებს.

ჰერას, ზეესის მეუღლეს, ძალიან სძულდა ალკმენა და მოინდომა ჰერაკლის სიკვდილი, რომ ამით მწუხარება და ტანჯვა მიეყენებინა ალკმენასათვის. ერთხელ შუაღამისას, როდესაც ამფიტრიონსა და ალკმენას ეძინათ, მათ საწოლ ოთახში შემოცურდა ორი ეეგბერთელა გველი, რომელნიც ჰერასაგან იყენენ გამოგზავნილი, და პირდაპირ ჰერაკლის და იფიკლის ფართან მივიდნენ. გველები ისეთ ნაირად ანათებდნენ თვალებს, რომ კაცი იფიქრებდა, ცეცხლია გაჩაღებული და იმას გაუნათებიაო.

როგორც ჩაყეეს გველებმა ფარში თავები, რომ ეკბინათ ყმაწვილებისათვის, ფარი გაინძრა. იფიკლმა გამოიღვიძა და შიშისაგან ტირილი მორთო. ჰერაკლის-კი სრულიად არ შეშინებია, გაეცინა კიდეც, გველები რომ დაინახა. მარდად სტაცა ყელში ხელი და მოუჭირა ისე მაგრად, რომ გველებმა კბენა ეეღარ მოუხერხეს და შემოეხვიენენ ტანზე. იფიკლის ტირილზე ალკმენასაც გამოღვიძა და, რომ დაინახა ჰერაკლის მკლავებზე შემოხვეული გველები, საშინელი კივილი შეჰქმნა. ამფიტრიონი წამოხტა ზეზე და მისწვდა თავის მახვილს, რომელიც იქვე ეკიდა ლურსმანზე. მოსამსახურე ქალები გაგიჟებულებსავით წამოცვივდნენ ლოგინიდგან და ყმაწვილებთან მიეარდნენ მისაშველებლად. რამდენიმე შეიარაღებული თეზელი გმირიც შემოიჭრა ოთახში. მაგრამ სანამ მიეშველებოდა ეინშე, ჰერაკლიმ თავისი ჰქმნა: ისე ღონიერად მოუჭირა გველებს ყელში ხელი, რომ ორიეეს სული გაატხვინა. როგორც-კი დაიხოცნენ გველები, მათი თვალების სინათლეც გაქრა და ოთახში ისევ დაბნელდა. მა-

*) ერთნაირი იარაღია, რომელსაც მტრის ნასროლ ან მოქმეულ იარაღის ასაცდენად ხმარობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ მოიტანეს ცეცხლი, ოთახი გაანათეს და ნახეს ჰერაკლის წინ გაშზლართული ორი დიდი გველი. ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ: არაფის ენახა ჯერ და არც გაეგონა, რომ ძუძუ-მწოვარა ბაშვს ამისთანა საქმე ჩაედინოს.

ამფიტრიონი ცხადად ხედავდა, რომ ჰერაკლი ისეთი უბრალო ყმაწვილი როდი იყო, როგორც სხვები; ამიტომ განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა მას და, როდესაც წამოიზარდა, ცდილობდა ესწავლებინა მისთვის ყველაფერი, რაც საჭირო ცოდნა იყო იმ დროში: ასწავლეს მშვილდოსნობა, შუბის სროლა ნიშანში, ჭიდაობა, ცხენოსნობა და ეტლის ხმარება. იმ დროს აუცილებელი იყო ეტლის ხმარების ცოდნა: ომში გმირები ცხენებ შებმულ ეტლით გავიდოდნენ ხოლმე და ისე იბრძოდნენ.

ჰერაკლი ძალიან კეთილი გულის ყმაწვილი იყო, მხოლოდ ერთი ცუდი ზნე სჭირდა: როდესაც გული მოუვიდოდა, ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაავიწყდებოდა, გიჟს დაემსგავსებოდა ხოლმე და მაშინ უთუოდ ცუდს რასმე ჩაიდენდა. მერე, როდესაც გონზე მოვიდოდა, დაინანებდა თავის შეცდომას და ბევრსაც ინანებდა, მაგრამ რაღას უშველიდა!

ერთხელ, გულ-მოსულობის დროს, კაცი შემოაკედა. ამ უბედურმა შემთხვევამ დიდად შეაწუხა მისი მშობლები. ამფიტრიონს შეეშინდა, კიდევ არ ჩაიდინოს ამისთანა ცუდი საქმეო, და გაგზავნა მწყემსად კითერონის მთაზე. ამ დროს ჰერაკლი თვრამეტის წლისა იყო. კითერონის მთაზე საკვირველი გმირობა გამოიჩინა. იქ ბუდობდა ერთი საოცარი ლომი, რომელიც ხანდახან ჩამოვიდოდა ხოლმე ბარად და დიდ ზარალს აძლევდა მცხოვრებლებს: რამდენი ძროხა და ხარი და რამდენი მწყემსი იმან იქ დაგლიჯა, ეინ მოსთვლის!

ჰერაკლიმ მოკლა ეს ლომი თავის კომბლით და, როდესაც ხმა გავარდა კითერონის ლომის მოკვლისა, ყველანი დიდ სიხარულს მიეცნენ და ლოცავდნენ ჰერაკლის. მაშინ ამფიტრიონმა აპატივა ჰერაკლის დანაშაულობა და ნება მისცა, დაბრუნებულიყო ისევ შინ.

***

თებელები ორხომენის*) მეფის, ერგინის, მოხარკეები იყვნენ: ყოველ წელიწადს ასი ხარი უნდა მიერთმიათ იმისათვის. სწორედ იმ დროს, როდესაც ჰერაკლი დაბრუნდა კითერონის მთიდგან და შინ მიდიოდა, შეხვდნენ მას ერგინ მეფის კაცები, რომელნიც მოსულიყვნენ ხარკის მოსათხოვნელად. ჰერაკლის არაფრად მოსწონდა, რომ თებელები ასე დამცირებულნი იყვნენ ორხომენის მეფისაგან, და ამიტომ ძალიან ცუდად მოექცა მის კაცებს: დასჭრა ყველას ყურები და ცხვირები, უკან ხელები გაუკრა და ამ ნაირად გაგზავნა თავიანთ მეფესთან. ამაზე ასტყდა ომი თებელებსა და ორხომენლებს შუა.

თებელების სარდლად კრეონ მეფემ დანიშნა ჰერაკლი. ☆ალგაზდა სარდალი ჩინებულად გამოიწყო: ათინა-ღმერთმა აჩუქა მას

*) ორხომენი ქალაქი იყო საბერძნეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს აბჯარი, აპოლლონმა მშეიღდი და ისრები და ჭერმესმა *) მახვილი. ჰერაკლი, მშეენიერად შეიარაღებული, გაუძღვა წინ თებელების ჯარს და შეება ორხომენლებს. მისი წყალობით გაიმარჯვეს თებელებმა და სრულიად განთავისუფლდნენ ხარკისაგან. ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა აგრეთვე ჰერაკლის ძმამ, იფიკლმაც. კრეონ მეფე დიდად მადლიერი დარჩა ჰერაკლისა და იფიკლისა და სამაგიეროდ იმით დააჯილდოვა ისინი, რომ თავისი ქალები მითხოვა: უფროსი ქალი, მეგარა, ჰერაკლის მისცა ცოლად და უმცროსი— იფიკლს.

ჰერაკლის მეცა სამი შვილი და რამდენსამე წელიწადს ბედნიერად ცხოვრობდა თავის სახლობაში. მაგრამ ჰერას შეშურდა მისი ბედნიერი ცხოვრება და მოუელინა მას ავადმყოფობა, რომ გაემწარებინა მისთვის წუთის სოფელი: ჰერაკლი თითქო გაგიჟდაო, ისე აირია. ამ ყოფაში რომ იყო, თავის შვილები მხეცებად მოეჩვენა; წამოაელო ხელი მშეიღდ-ისარს და იქვე სული გააბრთხობინა სამთავეს. მერე, როდესაც გონზე მოვიდა, ნახა, რომ თავის ღვიძლი შვილების სისხლი დაუღვრია და დიდს მწუხარებაში ჩავარდა. საშინლად სტანჯავდა მას შვილების სისხლის მოგონება და მზად იყო ყოველ-ნაირი სასჯელი აეტანა, ოღონდ-კი მოენანიებინა თავისი დანაშაულობა.

***

ძველად, როდესაც გაუჭირდებოდათ რამე და არ იცოდნენ, როგორ დაეხწრიათ თავი უბედურობისაგან, ორაკულს მიმართავდნენ ხოლმე საკითხავად. ორაკული იყო ქადაგი, რომელსაც შეჰკითხავდნენ, რა ექნათო, და ისიც ეტყოდათ, რომ აპოლონ ღმერთი გიბძანებთ, ასე და ასე მოიქეცითო.

როდესაც მეფე ომის დაწყებას იფიქრებდა, პირველად ორაკულს უნდა შეჰკითხებოდა უთუოდ და თუ აპოლონი ქადაგის პირით

*) ჭერმესი ანუ მერკური იყო ღმერთი-მფარველი ვაჭრობისა და მრეწველობისა, იგივე ითვლებოდა მშვიდ-მეტყველების, ცბიერების და ეშმაკობის მფარველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუცხადებდა, რომ დამარცხდებიო, მაშინ იგი ომს აღარ დაიწყებდა. ეისაკ ნარჩევი გაუმართლდებოდა, ის მადლობას სწირაოდა ღმერთს და მიჰქონდა ტაძარში მსხვერპლი; მრავალი ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ნივთები მოჰქონდათ შესაწირავად, ასე რომ ორაკული აესებული იყო სხვა-და-სხვა ძვირფასი ნივთებით. მთელს საბერძნეთში სახელგანთქმული ორაკული იყო ქალაქს დელფში, სადაც იყო ტაძარი აპოლონისა, პარნასის მთის ძირას. აქ იჯდა ქადაგი ქალი, პითია, რომელიც ამცნებდა ხოლმე ხალხს აპოლლონ ღმერთის ნებას. ჰერაკლი წავიდა ქალაქს დელფს და შეჰკითხა პითიას. პითიამ უთხრა, თუ გინდა ცოდვისაგან გაიწმინდო, წადი ქალაქს ტირინთს, იმ ქვეყანაში, სადაც მამა შენი ცხოვრებდა წინად, და იქ ევრისთე მეფეს თორმეტს წელიწადს ემსახურეო; დაემორჩილე იმას ყველაფერში და, რაც იმან გიბრძანოს, არაფერზე უარი არა სთქვა, ყველაფერი აუსრულეო. ამასთან ისიც უთხრა, რომ ევრისთე მეფე დაუწინწავს მას თორმეტ სარჯელს, თორმეტ საგმირო საქმეს და, თუ იგი ამ თორმეტ სარჯელს შეასრულებს და ცოცხალი გადარჩება, მაშინ თავისუფალი შეიქმნება, ბედნიერად იცხოვრებს ამ ქვეყნად და ბოლოს უკვდავი გახდება და მიღებულ იქმნება ღმერთთა კრებულშიო.

მეფე ევრისთე ძალიან მხდალი და ცუდი კაცი იყო. იმდენად ბოროტი იყო, რომ ყოველი პატიოსანი და კარგი საქმის მომქმედი კაცი საშინლად ეჯავრებოდა. ვინც დაჩაგრულების და გაჭირვებულების მშველელი იყო, იმას ჰმტრობდა და მუდამ იმის ფიქრში იყო, რა მოეგონა ისეთი, რომ უბედურობა რამ გადაეკიდა და დაეღუპოო. ჰერაკლი დაემორჩილა ღვთის ნებას და წავიდა ტირინთს. ევრისთემ რომ დაინახა ჰერაკლი, შიშით კანკალი დაიწყო. ჰერაკლიმ კარგად იცოდა, რა კაცია იყო ევრისთე და მზად იყო, იქვე გაეგლიჯა, მაგრამ ღვთის ბძანებას ვერ ეურჩა და მოახსენა ევრისთეს: „აპოლლონისაგან ბძანება მაქვს, გემსახურო და ნება შენი იყოს, მორჩილი ვარ ყველაფერში“.

ალ. ზიზინაძე

(შემდეგი იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე დ ი ს მ ო ჩ ი ვ ა რ ი

ერთი ასალგაზდა გამოუცდელი ნაძი თავის ბედს უჩიოდა.

— ეს რა უშნო, ერთგვარი მწვანე ეკლები მასსია! ნეტავი ჩემ ტოტებს ოქროთ დაფერილი ფოთლები მოესხა!

ნატვრა და ნატვრის ასრულება ერთი იყო.

მეორე დღეს, დილით, ნაძი ოქროთ დაფერილ ფოთლებით შემკული იდგა. სიხარულით ადარ იცოდა, რა ექნა. თავის მომძეებს ამაყად გადასცქეროდა. ამაზედ მეტი ბედნიერება რაღა იქმნებოდა!

საღამოზედ მოვიდა ერთი ფეერიანი ხარბი კაცი, მოიტანა ტომრები, ოქროთ დაფერილი ფოთლები ერთიანად მოკრიფა, ტომრებში ჩაალაგა და გასწია თავის გზაზედ.

— რას მოვიფიქრებდი, თუ ადამიანი ასეთი ბოროტი იქნებოდა! ეხლა ჩემსედ საცოდავი ადარაფინ არის; რაში მინდოდა ოქროს ფოთლები, ნეტავი ბროლის ფოთლები მენატრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ სულ სხვა იქნებოდა, გამეღლეულ-გამომეღლელი ხომ არ გამცარცვავდა მაინც!

ეს ნატვრაც აუსრულდა,—მეორე დილას ნამი ბროლის ფოთლებით მოკაზმული იდგა. დილის ნიავი ნელ-ნელა აქანავებდა ბროლის ფოთლებს.

ნამს დიდად გაეხარდა, თავის თავი რომ ბრჭყვიალა ტანისამოსით ნახა. მგრამ აკი ცა ღრუბლით მოიფინა, ამოვარდა დიდი ქარიშხალი და მინის ფოთლები მილეწ-მოლეწა.

— ესლაც მოეტეუვდი!—წამოიძახა ნორჩმა ნამემ და თან ნადვლიანად დასტქეროდა თავის დაცვინულს მორთულობას.

— არც ოქრო და არც ბროლი ტეეში მორთულობად არავის გამოადგება. მე რომ თხილის ხესავით შეფოთლილი ვიეო, რბილი და მწვანე სავეოდის გვარი ფოთლებით, მაშინ, მართალია, აგრე რიგად მორთული არ ვიქნებოდი, მგრამ ჩემ მოძმებს ხომ ვემეობინებოდი, იმათსავით ხომ უშნო არ ვიქნებოდი.

მესამე ნატვრაც აუსრულდა.

აკი ამის ბედზე ახლაც შეესწრნენ ტეეში თხები და, დაინახეს თუ არა ახლად ამოსული მშვენიერი მწვანე ნეკერი, დაუწეეს კიკნა და ერთი ფოთოლიც აღარ შეარჩინეს.

ეს იეო და ეს. ამას შემდეგ ნამეს ფიქრად აღარ მოსვლია იმის ნატვრა, რაც შეუძლებელია და რაც იმას არ შეჭეერის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვარი და ცხვრის ფარა

(იგავი)

ერთი ცხვარი გაჟინიანდა, დაიწყო ამპარტაივნობა, სხვა ცხვრებში აღარად მიიჩნია, ცხვირი მაღლა მიჰქონდა: ღმერთს ჩემთვის ბეწვიც აბრეშუმიეთ წმინდა მოუცია და რქებიც საუცხოო და მოხდენილი მაქვსო!

ითაკილა ამხანაგებთან სიარული, ჩამორჩა ფარას და მინდორჭალებში მარტოდ-მარტო დაიწყო საძოვრად სიარული; მაგრამ ასეთი ამპარტაივნობა და უკადრისობა ძვირად-კი დაუჯდა: ერთს საღამოს ჭალაში მგლები წაწყდნენ და აბრეშუმის ქურქი სულ ლუკმა-ლუკმა უქციეს.

ან-მან

საქმეს რომ იჯერდე, ბოლო იფიქრე!

ზღაპარი

(ჩაწერილი გ. ფირალოვისა)

იყო და არა იყო რა, ღმერთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე. ერთხელ ხელმწიფის ნაზირ-ეზირებმა ხელმწიფის მოკვლა მოინდომეს. იფიქრეს და შემდეგი ხერხი მოიგონეს.

ამ ხელმწიფეს ჰყავდა ერთი დალაქი. ეზირებმა დაქრთამეს ეს დალაქი და უთხრეს: —როდესაც მიხვიდე ხელმწიფესთან პირის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპარსად, თავი მოსჭერი სამართებლით და, შენ ნუ შეგეშინდება, ჩვენ გიშველითო.

დალაქი დასთანხმდა. ეს ამბავი გაიგო ერთმა კაცმა და მოინდომა, როგორმე ხელმწიფისთვის შეეტყობინებინა. არ იცოდა-კი, რა გზას დასდგომოდა. თუ მისულიყო და ხელმწიფისათვის პირ-და-პირ ეთქვა, რომ ასე და ასე გიპირობენ შენი ნაზირ-ვეზირებიო, ხომ არ დაუჯერებდნენ.

ადგა და ერთი ხერხი მოიგონა. დაიქირავა ერთ ადგილას დუქანი, დაწმინდა, დაგავა და ნაგავი ერთ ადგილს მოაგროვა. მოიკეცა ფეხი და დაჯდა.

ხელმწიფეს ჩვეულება ჰქონდა, დილაობით ბაზარს დაათვალიერებდა ხოლმე და ამ კაცმაც სწორედ იმ დღეს დაიქირავა ის დუქანი, როდესაც ხელმწიფეს უნდა ჩამოეცალა.

ჩამოიარა ხელმწიფემ და დაათვალიერა დუქნები. ნახა ამ კაცის დუქანიც, შეიხედა შიგ და ჰკითხა იქ მჯდომს კაცს:

— გამარჯობა შენი, კაცო!

— გაგიმარჯოსო!—უპასუხა იმ კაცმაც.

— ქირას აძლევ?—ჰკითხა ხელმწიფემ.

— დიახ, ბატონოვო!

— რასა ჰყიდი, რომ არაფერი არა ჩანს დუქანშიო,—ჰკითხა ხელმწიფემ.

— მე, ბატონო, ჭკუასა ვყიდიო,—უპასუხა ვაჭარმა.

— ჭკუას როგორა ჰყიდიო, — წონით ჰყიდი, ზომით თუ საწყაოთიო?

— არა, ბატონო, ერთი სიტყვა ასი მანათი ღირსო.

— აბა მასწავლეო!

მედუქნემ უთხრა:

— რა საქმესაც იჭერდე, ბოლო იფიქრეო!

მოეწონა ეს სიტყვა ხელმწიფესა და აჩუქა ფულები.

ეს სიტყვა ხელმწიფემ დაისწავლა და ვისაც ნახავდა, ხუმრობით ეტყოდა,—რა საქმესაც იჭერდე, ბოლო იფიქრეო!

გაიარა ამ ამბავმა. მოვიდა დრო, რომ ხელმწიფეს პირი უნდა მოეპარსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბარეს დალაქი ნაზირ-ვეზირებმა და უთხრეს:—აბა ხომ მზადა ხარ, რომ თავი მოსჭრა ხელმწიფესაო?

დალაქმა უპასუხა:—მზადა ვარო.

შეეიდა დალაქი ხელმწიფის ოთახში და, გააღო თუ არა კარები,—ხელმწიფემ დაინახა და ხუმრობით ჰკითხა:—ჰაა! რა საქმესაც იჭერდე, ბოლო იფიქრეო!

დალაქი ხელმწიფეს ფეხ ქვეშ ჩაუვარდა და სთხოვა, მაპატიე დანაშაულობაო.

— რას ამბობ, რა უნდა გაპატიოო!?

— ასე და ასე, თქვენმა ვეზირებმა დამარიგეს, რომ თქვენთვის თავი მომეჭრა.

ხელმწიფემ ენაზე იკბინა და მაშინ მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. დაიბარა ის კაცი, დუქანში რომ იჯდა, და ჰკითხა:—რას ნიშნავდა შენი ნათქვამი სიტყვა, ან რა აზრით მითხარიო?

ჭკუის გამყიდველმა უთხრა:

— მე მგავიგე, რომ ნაზირ-ვეზირებმა თქვენი სიკეთილი მოინდომეს, არ ვიცი-კი რისთვის, მე რომ მოეხულიყავ და თქვენთვის პირდაპირ მეთქვა, თქვენ არ დამიჯერებდით და აი ამისთანა ხერხით შეგატყობინეთო. ეხლა გინდა დაიჯერეთ და გინდ არაო.

ხელმწიფემ მოღალატე ნაზირ-ვეზირები ჩამოახჩობინა, დალაქი სხვა ქვეყანაში გაგზავნა და ეს კაცი-კი გაამდიდრა ძალიან.

გაკვრა—გაქცევა

თამაშობა



ოთამაშე ბაშვები თავიანთ შორის ამოირჩევენ ორ დედას. დანარჩენი ბაშვები წყვილ-წყვილად გავლენ განზედ, დაირქმევენ რაიმე მოგონილ სახელს და წყვილ-წყვილადვე დაბრუნდებიან რომელსამე დედასთან. წყვილ ბაშვთაგან ერთი მიმართავს დედას და ჰკითხავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი გინდა, ბალი თუ ყურძენი?

დედაც, თავის გემოვნებაზე, მიუგებს და იტყვის, ეთქვათ, ყურძენიო.

ამის შემდეგ ყურძენი დარჩება ამ დედასთან და ბალი წავა მეორე დედასთან. როცა ამ რიგით ყველა ბაშვები ორ თანასწორ გუნდად გაიყოფებიან, დანიშნავენ ახლა ორ ბინას, ასე ოც-და-ათი ანუ ორმოცი ნაბიჯის მანძილზედ, რომ ბინა არ შეეშალოთ, და ნიშნად ქვას ან სხვა რომელსამე საგანს დასდებენ. თამაშობას იწყობს ერთ-ერთი გუნდი, რომელსაც უეჭველად კენჭის გდებამ უნდა არგუნოს ჯერი.

თვით თამაშობა ასე სწარმოებს:

მოთამაშე გუნდი დადგება ერთს ბინასთან. მეორე გუნდის ბაშვები-კი მოშორებით, რომელსამე მხარეს, გაშლით დადგებიან იმ აზრით, რომ პირველებისაგან გამოკრული ბურთი დაიჭირონ.

შემდეგ ერთ-ერთი ბინაზედ მდგომი გუნდის მოთამაშე აიღებს ბურთს მარცხენა ხელით, ააგდებს მაღლა, მარჯვენას მოსწრებით შემოჰკრავს და გასტყორცნის მეორე გუნდის მხარეს. ბურთის გამსროლი ბაშვი მოჰკურცხლავს მეორე ბინისკენ; ამავე დროს მეორე გუნდის ბაშვები გაფაციცებით გამოეკიდებიან ბურთს და, ვინც მოასწრობს აღებას, მსწრაფულ ესვრის ბურთს მის გამომსროლელს, რომელიც, როგორც ეთქვით წინედ, გარბის იმ დროს მეორე ბინისკენ.

თუ ვერ მოარტყეს, ვერ „ბასჰრეს“ გზაში, ეს მიეა და დარჩება ამ მეორე ბინასთან. ბურთს ამ გეარადვე გასტყორცნის, გაჭრავს ახლა მეორე ბაშვი, მესამე, მეოთხე და სხვანი; თუ გზაში არავინ გაიჭრა, ყველანი მეორე ბინასთან გაჩერდებიან.

მაგრამ მომეტებულ ნაწილად მეორე გუნდის მოთამაშენი ერთს ვისმეს მაინც სჭრიან და ამის შემდეგ თამაშობა უფრო ძლიერდება: რაკი მეორე გუნდის ბაშვები შენიშნავენ, რომ ერთმა ჩვენთაგანმა ბურთის გამომსროლი გასჭრაო, უეცრივ ყველანი გაესწრაფებიან პირველ ბინისკენ; მხოლოდ პირველი გუნდის მოთამაშენი კიდევ ამ დროს ჩაიგდებენ ბურთს ხელში და იმას ცდილობენ, რომ ამ მეორე, მორბენალი გუნდის ბაშვი დასჭრან ბურთის გარტყმით.

თუ მეორე გუნდის ბაშვი ამ დროს დაიჭრა, მაშინ მთელი ეს გუნდი ბრუნდება ხახა-მშრალი ისევ თავის ადგილას, და, თუ კიდევ მშვიდობით მოაღწევს ბინამდე, პირველი გუნდი მიდის მათ ადგილას და ბინას მეორე გუნდს უთმობს.

საზოგადოდ ამ თამაშობას დიდი მხიარულობა და მოძრაობა მოსდევს; კი მოთამაშედ კიდევ ის ბაშვი ითვლება, რომელიც მკლაღონიერობით შორს სტყორცნის ბურთს და მარდად გარბის.

ვნ-მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი კვერცხი

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! — დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი,—ყველანი ამ სიტყვებით ახარებენ აღდგომა დღეს და თან ერთმანეთს ულოცავენ წითელ კვერცხებს. ძველადგანვე ასეა ჩვეულებად შემოღებული.

როდის და რისთვის არის ეს ჩვეულება შემოღებული?

ამ ჩვეულების ამბავს ასე მოგვითხრობენ. ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოციქულები სხვა-და-სხვა ქვეყნებში წავიდ-წამოვიდნენ ქრისტეს რჯულის გასავრცელებლად და სახარების საქადაგებლად. მარიამ მაღდალინელს, ქრისტეს ერთგულს მოწაფეს, წილად ჰხვდა სახარების ქადაგება ქალაქ რომში.

აქ მეფედ იჯდა იმ დროს ტიბერი. მარიამ მაღდალინელი თამამად წარსდგა ტიბერის წინაშე, მიართვა წითელი კვერცხი და თან ახარა: „ქრისტე აღსდგაო!“

— ქრისტეს აღდგომა ხომ ისეც შეეძლო ეხარებინა მარიამს, კვერცხის მირთმევა რაღა საჭიროა იყოო? — იკითხავთ.

ძველ დროში ჩვეულებად იყო,—და ხშირად ხომ ეხლაც იციან,—რომ, როდესაც დიდ-კაცთან მივიდოდნენ, უთუოდ რაიმე საჩუქარს მიართმევდნენ ნიშნად პატივისცემისა და სიყვარულისა.

მარიამ მაღდალინელი ღარიბი დედა-კაცი იყო და მიართვა ის, რაც შეეძლო. კვერცხი კი იმ დროს პატივისცემ საჩუქრად ითვლებოდა.

წითლად რაღად შეღება კვერცხებიო?—იკითხავთ კიდევ.

აი რადა. წითელი ფერი ყოველთვის და მეტადრე ძველს დროში სასიამოვნო, მხიარულ ფერად ითვლებოდა. მარიამ მაღდალინელი გახარებული იყო, რომ ქრისტე აღსდგა, და კვერცხიც ამიტომ მხიარულ წითელ ფერად შეღება.

ან იქნება ასე იმიტომ მოიქცა, რომ, როგორც ებრაელ ქალს, უნდოდა ძველი ებრაული ჩვეულება შეენახა. ებრაელებს კი ჩვეულებად ჰქონდათ, რომ, როდესაც პასექის სადღესასწაულოდ ბატკანს დაჰკლავდნენ, ამის სისხლს კარებს წაუცხობდნენ ხოლმე. მარიამ მაღდალინელმა, რასაკვირველია, კვერცხს სისხლი კი არ წაუსვა, მხოლოდ სისხლის ფრად, წითლად შეღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები

1. ზაფხული ზამთრის მუშა არისო.
2. ვინც იცის, იცის, ვინც არ იცის, ცერცეი ჰგონია.
3. დრო არის, შაქცევა სჯობია, დრო არის—გაქცევა.

გამოცანები

(ან - მანის წარმოდგენილი)

მე მშვა მამამან ჩემმან უდედოთ,
მე ევშვი ასული ჩემი;
ასულმან ჩემმან შვა მამა ჩემი.

(გ. ყიფიანის შეკრებილი)

აბანოელი ბატები—აბანოს ებანებიან,
მათი ნასროლი ისარი ხელმწიფეს ეკადრებიან.

ერთსა პატარა ეაკეზე არაეინ იარებოდა,
კაცსა უხორცო ხორცითა სახეთა ეჩვენებოდა.

ერთი რამ უცხო ნაჭედი, ჩამონახეთქი ქვისაო,
მას გარედ ზღუდე აევია, ეერცხლია თუ რკინისაო,
ყმაწვილი ეერას მოიხმარს, გამოსადეგ არს ბრძნისაო.

კუტი მამა, მარგალიტი დედა და გიჟი შვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაიკითხეთ, რა სწერია ამ უჯრებში:

მო	მა	ტეს	ცაეს
ლო	ბო!	აღ	შვე
დგო	მი	ბაე	ქრის

ამ სამ წუმწუმას მიუმატეთ ორი წუმწუმა, რომ გამოიიდეს რეა.

ამ ნახატებს მოაშორეთ შვიდ-შვიდი ხაზები, რომ დარჩეს მხოლოდ სამ-სამი უჯრა:





სამათემატიკო გამოცანა

(გ. იოსელიანის წარმოდგენილი)

ერთს მდინარეს სამი უცნობი კაცი მიადგა. ცოლიც ყველას თანა ჰყავდა. გაღმა უნდა გასულიყვნენ. ერთი ნავი იპოვეს, მენავე-კი არა ჰყავდათ. იმ ნავში ორი კაცის მეტი ვერ ჩაჯდებოდა ერთად. ქალებს ეაჟვების ერცხვინებოდათ და უქმროდ უცხო კაცთან დარჩენა არა სურდათ. ამიტომ ან ცოლი ქმართან უნდა ჩამჯდარიყო ხოლმე ნავში ერთად და ისე გასულიყო, ან კიდევ კაცი კაცთან და ქალი ქალთან. გამოიცანით ახა, როგორ მოახერხეს გასვლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარადა

(ლ. მშვიდლიშვილის შედგენილი)

ერთი ვინმე სულიერი
სცხოვრობს წყალში, ხმელზე, ხეზე;
თავის მომბეზრებელია,
თუ ღრუბელი აკრავს მზეზე.
ბევრი მას სჭამს, ბევრსაც ის სჭამს,
ყველა ვართ მისი მნახველი,
მაგრამ ქართულად მის სახელს
მარტოკა იტყვის ქართველი.

რებუსი

ქ 2 ქ 10'ამს დაა 9.

გასართობი

ხელებით ჩრდილზედ გამოიყვანეთ შემდეგი სურათი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ II გამოცანების ახსნა

1) კულა, 2) ეაზი, 3) ბურთი.

ზმა: 1) ხალიჩა, ლები, ბალიში, საბანი; 2) კალმახი, ღლაები, 3) სუკი, 4) მაწონი.

სამათემატიკო გამოცანა:

1	4	2
3	9	6
7	5	8

გამოცანა-ხუმრობა: ოთხმა კაცმა აიღეს თითო-თითო კვერცხი, მეხუთემ-კი კვერცხი თეფშით აიღო, ამიტომაც სასტუმროს უფროსმა სანაძლეო წააგო.

შარადა: სალამური.

რებუსი-გამოცანა: თაეს ხერხი ბოლოს ნამგალი (მამალია).

რებუსი ახსნა: ტფილისში—აელაბრის სკოლის მოწაფემ კოტე დიასამიძემ და ინგილოში—ყორაღანის სამრეველო სკოლის მეორე განყოფილების მოწაფეებმა.

გამოცანა-ხუმრობა ახსნა ანტონ სამოხტარაშვილმა (ფოთში).

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1891 წ. იანვრის თვიდგან
ქ. ტფილისში
გამოდის, ორ თვეში ერთხელ, საუმაწვილო სურათებიანი
ჟურნალი

ჯეჯილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

,,ჯეჯილში'' დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საკარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგეთქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი ,,ჯეჯილი'' ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარეშე გგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—,,წერა-კითხვის საზოგადოების'' კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით ,,ჯეჯილის'' რედაქციაში (Варятинская ул., д. № 48).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გოგრში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—ვ. ნიკოლაძის ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ი�ია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, რიგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის,

მიმართოს

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ივანოვის ძეკლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-მორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში, № 102.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакціи газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახებლის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთი წლით ღირს 10 მან., ნახევარ წლით—6 მანეთი.

Въ началѣ Марта поступила въ продажу въ Тифлисѣ—въ книж. магаз. Общества Грамотности, въ Батумѣ—у М. Николадзе и на станціяхъ закавк. желѣзной дороги

НОВАЯ КНИГА

КАХЕТІЯ

Съ карт. цѣна 30 коп.